საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 2 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 50 მანეთი, ... ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, ... ყველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.

... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 250 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 250

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ფუნდუ შვილებით აუწყებს ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს, რომ კვირას, 2 ნოემბერს, დილის 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გარდაცვალების 6 თვის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

**რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ. (3—3)

---

უსაზღვროთ დამწუხრებულნი: სიმამრი და სიდედრი, ცოლის ძმები და დები, რძალი და ქვისლები: ალექსი და ივლიტე, არტემი, სიმონი, მართა, რახილო, ფიდოსი და ქსენია კალანდაძეები, ნოე იოსების ძე და ნოე მალაქიას ძე რამიშვილები და ვასო ჩოხელაშვილი (ტუქიშვილი) ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დამფუძნებელი კრების წევრის, ძვირფასი და დაუვიწყარი

**რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის**

ექვსი თვის ხსოვნის აღსანიშნავათ კვირას. 2 ნოემბერს წმ. ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე დილის 11 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. (უფ.—2—2)

---

მეოთხე რაიონული კოლექტივი აცხადებს ნაცნობთ, ამხანაგებისა და და მეგობრების საყურადღებოთ, რომ კვირას, დილის 11 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, 6 თვის თავზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახალხო ტრიბუნის, დაუღალავი პარტიული მუშაკის და მე 4 რაიონული კოლექტივის ყოფილ თავმჯდომარის, ამხ.

**რაფიელ ჩიხლაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. (ნ. 2—2)

---

დამფუძნებელი კრების სოციალ დემოკრატიული ფრაქცია აცნობებს ამხანაგებს, რომ დღეს, დილის 11 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გარდახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ფრაქციის წევრის ამხ.

**რაფიელ ჩიხლაძის**

გარდაცვალებიდან ექვსი თვის აღსანიშნავად. (ნ.—1—1)

---

ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფეს. კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს და ამხანაგებს გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის და დაუღალავ მოღვაწის მუშათა პროფ. კავშირებისას ამხანაგ

**ვასილ ივანეს ძე ივანოვის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 ოქტომბერს, დილის 7 ნახ. ს. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან (დამფუძნებელი კრების ქუჩა, № 7, შენობა მთავარი შტაბისა) კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 ს. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაზე, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (ნ—3—3)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე, და ნინა, ძმები: ლევანი და იოსები გაბუნიები და მეგობარი მისი გიორგი და ანიჩკა ცაცქიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს პირველის ცოლი, მეორეთა და უკანასკნელის მეგობრის

**ოლღა დავითის ასული გაბუნია-არეშიძის**

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს და ხვალ საღამოს 6 საათზე, გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, (ჭავჭავაძის ქუჩა თონეთის შესახვევი, № 6) დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2843—2—2)

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს და ამხანაგებს მისი ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 31 ოქტომბერს და შაბათს 1 ნოემბერს საღამოს 6 ს. გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 ს. (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს, თიანეთის ქ. № 6) დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2843—2—2)

---

ქალაქთა კავშირის მაღაზიის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ამხანაგებს უდროვოთ დაკარგვას მათივე თანამშრომლის ძვირფას

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძისა**

პანაშვიდი პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო, თიანეთის შესახვ., № 6). გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2844—2—2)

---

ქ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა და სცენის მოყვარენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს წრის სცენის მოყვარის, ანტუანეტა

**ოლღა დავითის ასული გაბუნია-არეშიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 11 ს. ჭავჭავაძის ქუჩა, თონეთის შესახვევი № 6. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2860—1—1)

---

გაუბედურებული მეუღლე ნინა (ქენია) ლევანის ასული, შვილი კოლია, რძალი ადელი და ძმისწული ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 8 ნოემბერს (ახალი სტილით) დილით, შაბათს ქ. ხაშურში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი დამსახურებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის

**გიორგი ნიკოლოზის ძის იოსელიანის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს. (2826—1—1)

---

კვირას, 9 ნოემბერს სოფელ ასკანაში (გურიაში) გვაბრათის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**ელისაბედ პეტრე გრივცოვის ასულის ჯაველიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აცხადებენ გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ვანო ჯაველიძე, ასული მარუსია, მაზლი ნიკიფორე, რძალი ბაბინე და მაზლის შვილები: პალადი, თამარი და კოტე. (2862—1—1)

---

თფილისის პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მოაგონებს მეგობრებ ამხანაგებს, რომ დღეს, დილის 10 საათზე კუკიის სასაფლაოზედ გადახდილ იქნება პანაშვიდი ძვირფასს ამხანაგის

**კოლია მეთოდის ძე მხეიძის**

ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც გარდაიცვალა ოთხ ნოემბერს, 1918 წელს. ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ პანაშვიდს.
გამგეობა. (2855—1—1)

---

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ელისაბედ და მიხეილი ძმანი: მირიან და ივანე, დები: ლელი და სონა ბუზუნაიშვილები, სიძე ივანე ჩახვაძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 ნოემბერს ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ უდროოდ დაკარგულ ახალგაზრდა მოსწავლის

**კოტეს**

გარდაცვალებიდან წლის თავზე წირვა და პანაშვიდი. (2864—1—1)

---

თავზარ დაცემულნი მეუღლე დარია შემშეს ასული შვილებით: ნუცა, სალომე, ლევან, ნიკოლოზ და მელიტონ; ძმა პეტრე ივანეს ძე და დაი ბაბუცა; რძალი მარიამ ნიკოლოზის ასული აბდუშელიშვილები და სიძენი: რაჟდენ ციცქირიძე და ანდრო სვანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**იოსებ (ჭიჭიკო) ივანეს ძე აბდუშელიშვილი**

გასვენება მოხდება 4 ნოემბერს (ახალი სტილით) ს. პასიეთში. დაკრძალვა ითხვისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. (2865—1—1)

---

დეპოსა და მთავარ სახელოსნოს რაიონული გამგეობა და თფილისის დეპოს ორთქლმავალთა ბრიგადების სექცია მწუხარებით აუწყებს, რომ ღამით 30—31 ოქტომბერს ყაჩაღთა და ავაზაკთა მიერ მოწყობილ მატარებლის № 1 დამსხვრევის დროს მემანქანის თანაშემწეების

**შალვა იასონის ძის და რაჟდენ დავითის ძე გოგინაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავათმყოფოდან ორშაბათს, 3 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე სამოქალაქო წესით. (2870—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: სადა ანტონის ასული, ლევარსი მაქსიმეს ძე, მაქსიმე, ლევანი და ნინო ლევარსის ძენი გოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის დედის, მეორე მამის, უკანასკნელთა დის

**ევგენია ლევარსის ასულის გოლქვაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან დღეს 5 საათზე. წაასვენებენ გურიაში. (2872—1—1)

---

**ანონსი** თფილისის არტისტიული თეატრი ოთხშაბათს, გიორგობისთვის 12, 1919 წ.

საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის

**დრამატიულ სტუდიის წარმოდგენა**

1) ჰ ა ნ ე ლ ე ჰაუპტმანისა. | 2) რომანტიკოსნი ედ. როსტანისა.

რეჟისორი მ. ქორელი.

შემდეგ: ავგაროზი. (2847—2—1)

---

## ლატარიისათვის

ამბავს გეტყვით, ხალხო, ამბავს გასაკვირალს:
ლატარია უნდა გათამაშდეს კვირას.
სულ ერთი დღე დარჩა! კმარა რაც იძინეთ!
ბილეთები ჩქარა! ჩქარა შეიძინეთ!
თორემ თუ სხვა ვინმემ იქ მოგება ნახა—
მერე უნდა დაჯდეთ და დაალოთ ხახა.

და ვინც სწყალობს თეატრს, განათლების ტაძარს,
საქმეს იზამს კეთილს, ხალხის წასაბაძარს:
და ბილეთით ხელში, მტრების გასახელად—
სახელმწიფო თეატრს მიაშურებს ხელად.
ერთ ვისმეს ხომ უნდა ერგოს ბედის ლხენა
და ეს ერთიც—ვინ უწყს—იქნებ იყო შენა!

მაშ ნუ დახვალ, ძმაო, აგრე განდაგანა.
ასი ათას მანეთს ეხუმრები განა!
გაშხადუნუმ, ბიჭოს, ერთიც ენახოთ რომა,
არ დაგჭირდეს ჯაფა, არ დაგჭირდეს შრომა
და იხილო უცბად სამოთხისა კარი—
დაჯექი და მერე ქუდი პერსა ჰკარი!

(ნ. 1—1)

---

## ვისაც სურს დაესწროს ზეიმს

პირველ ქართულ ლატარიის გათამაშებას — უნდა შეიძინოს

## სახელმწიფო თეატრის კასაში

ლატარიის ბილეთები

| | |
|---|---|
| 1, 2 და 3 რიგის სკამისათვის—4 ბილ. | ქანდარა მესამე „ „ 3 კუპ. |
| 4, 5, 6, 7 და 8 რიგის სკამისთვის და ამფითეატრისთვის . 3 „ | ლოჟა I იარუსისა . . . . 9 ბილ. |
| ლოჟა ბენუარი . . . . . 24 „ | „ II „ . . . . . 6 „ |
| ბალკონის მეორე იარუსის სკამი 2 „ | „ III „ . . . . . 3 „ |
| | ქანდარის ბალკონი . . . . . 1 „ |

ხელოვნურად მორთულ სცენაზე, საგანგებოდ ამაღლებულ მაგიდაზე იდგმება სამი ურნა: სერიის, ბილეთების და მოგებათა.

ურნიდან ბილეთებს ამოიღებენ ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქციიდან წარმოგზავნილი ბავშვები 5—7 წლამდე; მოგების ურნიდან კი—ხელებ შიშველა გოგონები.

სცენაზე იქნება მაგიდები წარმომადგენელთათვის: დამფუძნებელ კრებისა, მისი პრეზიდიუმისა, მთავრობისა, პრესისა, დეპეშათა სააგენტოსი, ბანკებისა, საზოგადო დაწესებულებათა, ლატარიის საბჭოსა და გამგეობისათვის.

პირველად ამოღებულ ბილეთების ნომრებს გამოაცხადებენ მთავრობის წარმომადგენელნი, ხოლო შემდეგ ამოღებულ ბილეთების ნომრებს ამცნობს საზოგადოების კრების თავმჯდომარე.

მდივნათ მიპატიჟებულთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ სამისა. (ნ. 1—1)

---

## საზავო კონფერენცია და ჩვენ

საზავო კონფერენცია ვერსალში თითქმის სრულიად მიყუჩდა. მისი ხმა აღარ ისმის. თუმცა მისი მთავარ ნაშრომი, ავსტრია-გერმანიასთან საზავო პირობების ტექსტი, ჯერ ყველა სახელმწიფოსაგან დამტკიცებული კიდევ არ არის. სამაგიეროთ ამუშავდა კერძოთ თვითეული სახელმწიფო, რომელიც ამ კონფერენციის მთავარ მონაწილეთ იყო. ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი და სხვ. თვითეული თავისთვის ეძიებს და იკვლევს გზას ახალ ახალ ქვეყნებისაკენ.

ამ რიგათ საერთო ნების ყოფის ნაცვლად მივიღეთ კერძოთ თვითეულ სახელმწიფოს ინტერესთა თამაში. საერთო პრინციპების მაგიერ, რომელთა სახელით წინეთ ფიცულობდენ, მშრალი, უგულო ანგარიშიანობა, მოგების თვალსაზრისით გაზომილი მოსაზრებანი საკითხის გასაშუქებლათ.

წვრილ ერთა პრობლემაც, რომელიც დღემდე ამ ბუმბერაზ სახელმწიფოებს უდიდეს „კოზირათ“ მიაჩნდათ, დღეს უბრალო ანგარიშიანობას დაექვემდებარა. მათს გადაჭრას ჩამოშორდა იდეალური სამოსელი, გაიძარცვა და ხელში შეგვრჩა ცარიელი ფრაზა ერთა თავისუფლებისა, რომელსაც მოჰყვა—მეორე უფრო საგულისხმო და გასაგები საქმე წვრილ ერთა დამორჩილებისა ეკონომიურათ, პოლიტიკურათ და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც ამ ანგარიშიანობას ექვემდებარება.

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად შეხვდებით ასეთ მოვლენას: კითხულობენ, ნეტა რას ფიქრობს ჩვენზე ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი და სხვ. უკეთ რომ ვსთქვათ, რას ფიქრობს მათი მთავრობა. უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ეს ქვეყნები ჩვენზე სრულიადაც არ ფიქრობენ. ისინი ფიქრობენ მხოლოდ თავის ინტერესებზე. ისინი ილწვიან მხოლოდ თავის სარგებლობისათვის. და ჩვენი ერი, როგორც კულტურული ღირებულება, როგორც განათლებულ კაცობრიობის ერთი მცირე ნაწილი, თითქმის არავის არ აინტერესებს. ყველა მზათაა ეს ღირებულება მომგებიან ქაღალდებზე და სარგებლიან კონცესიებზე თუ სხვა ეკონომიურათ სარფიან საქმეზე გადასცვალონ, დაახურდავონ.

ამ რიგათ ნამდვილათ საქართველოზე ზრუნავს მხოლოთ საქართველო. მის განვითარებაზე ფიქრობს მხოლოდ საქართველოს ერი. სხვის დახმარებას ჩვენ მივიღებთ მხოლოდ მაშინ, როცა ეს დახმარება ანაზღაურებულ იქნება ზედმეტი მოგებით დამხმარეთათვის.

მაშასადამე ანგარიშიანობა აქაც საფუძველია კეთილგანწყობილების.

დი ჩვენც დღეს ჩვენი ბედის გადაწყვეტაში უნდა გვქონდეს მთავარი იმედი იმის, თუ რამდენათ ეკონომიურათ, ან სხვა სახელმწიფოებრივ მოსაზრებათა გამო დავაინტერესებთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობით იმ დიდ სახელმწიფოებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ჩვენი საკითხის გადაწყვეტა.

ვერსალის კონფერენციას თავისთავათ აღარ აქვს არავითარი პრინციპი, რომლის მიხედვით იგი სჭიდეს და სწყვეტდეს რომელიმე პრობლემას. სწყვეტს და სჭის მხოლოდ კერძო ინტერესი. ინგლისი მოგემხრობა, თუ ეს მის ანგარიშში შედის, საფრანგეთი წინააღმდეგ წავა, თუ ეს მას გამოადგება.

აქედან იბადება ჩვენთვის პრობლემა ამ მხარეებთან ერთგვარ ეკონომიურ კავშირის დაჭერისა. პოლიტიკურ სტრატეგიულათ მხოლოდ ინგლისზე შეიძლება თქმა, რომ იგი დაინტერესებულია ამიერ-კავკასიით. დანარჩენებისთვის კი იგი მხოლოდ ეკონომიური ინტერესების წყაროა.

ამ ტომ ამ ჟამათ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სწორეთ ამ მხარეს.

დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა შეიცვალოს სავაჭრო მოლაპარაკებით. ლიტერატურული ურთიერთობა ქონებრივ ურთიერთობით. ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ დიდი შანსები აქვს. მხოლოდ საჭიროა, რომ ჩვენ აქედანვე დავთანხმდეთ ერთგვარ მსხვერპლზე იმ აურაცხელ სიმდიდრიდან, რომელიც უხმარათ ძევს დღეს ჩვენს ქვეყანაში და ახლო მომავალში არც შეიძლება გახდეს ექსპლოატაციის საგნათ ჩვენის მხრივ.

ეკონომიური მისიების გაგზავნას ამ მიზნით და არსებულ მისიებისთვის ეკონომიურ დავალებების მიცემა ჩვენ მიზანშეწონილათ მიგვაჩნია დღევანდელ მომენტში.

## უკანასკნელი გაკვეთილი

დაჭერილ კომუნისტებს აღმოაჩნდათ მრავალი საბუთები, საიდანაც მტკიცდება, თუ რა ფართე გეგმა ქონდათ შედგენილი რესპუბლიკის დასამხობათ და ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. თანახმად ამ საბუთებისა გამოსვლა უნდა მომხდარიყო ერთ და იმავე დროს მთელ რესპუბლიკაში. ყველა როლები განაწილებული ყოფილა, დაუნიშნავთ წინ და წინ კომისარები, აღუნუსხავთ თავ მოსაყარი პუნქტი, ხელში ჩასაგდები ორგანოები და სხ. ამავე დოკუმენტებში აღნიშნულია თუ სად რომელი გუნდი იმოქმედებს, რომელ მაზრაში რამდენი მომხრე ყავთ, რამდენი ფული დაუხარჯავთ და სხ.

შეუძლებელია, რომ ეს რთული მუშაობა ერთ ან ორ დღეს მომხდარიყო. მართალია ერთი დოკუმენტი აღნიშნავს, რომ მომზადებისათვის ცოტა დრო გვქონდაო, მარა მოგროვილი დოკუმენტები ნათლად ამტკიცებენ, რომ მუშაობა მთელი თვეების განმავლობაში წარმოებდა. აქ იქ ფართე კრებებიც ხდებოდა, მათი დაქირავებული აგიტატორები სოფლიდან სოფლად დაძრწოდენ და აჯანყების ცეცხლს ანთებდენ. და ყოველივე ეს ხდებოდა ისე, რომ არც ერთ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციას თითქმის არაფერი სცოდნია.

რატომ მოხდა ეს? რატომ მოხდა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სათვის ყოველივე ეს ახალი და მოულოდნელი გამოდგა?

ამის უმთავრესი მიზეზები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჩვენს წინა წერილებში— „პარტიული მუშაობა“. ვაფრთხილებდით პარტიულ ორგანიზაციებს, ვაქცევდით ცენტ. კომ. ყურადღებას, ვასახელებდით მთელ რიგ ზომებს, რომელიც პარტიას უნდა მიეღო თავის ორგანოების ასამუშავებლათ სამწუხაროთ, ჩვენმა ორგანიზაციებმა ვერ შეიგნეს სავსებით

# დღეს

**ამერიკელ სენატორების სიტყვით ვილსონი მომავალ არჩევნებში აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას.**

**უმაღლესი საბჭო იხილავს ფოშის მოხსენებას გერმანელების მიერ დროებითი ზავის პირობების დარღვევის შესახებ. გადასწყდა: გაეგზავნოს გერმანიის მთავრობას ნოტა ვალდებულების გახსენებით.**

**პეტროგრადის ფრონტზე წითელი ჯარი წინ მიიწევს და ლუგას 10 ვერსით მიუახლოვდა.**

**ურალსკის რაიონში წითელმა ჯარმა აიღო ქ. პეტროპავლოვსკი.**

**სხვა ფრონტებზე მედგარი ბრძოლებია.**

**უკრაინაში დენიკინის წინააღმდეგ აჯანყება იზრდება.**

**არგენტინის რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.**

მდგომარეობა, ვერ გაითვალისწინეს თუ რა საფრთხეს უმზადებდა ქვეყანას პარტიული მუშაობის მივიწყება-მოდუნება, დაივიწყეს, რომ „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებოდა“, ალმაცერათ შეხედეს პროვინციის დაცლას მომქმედი და აქტიური პირებისაგან. ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს ასეთი სიურპრიზი.

მიტოვებული თავის ამარათ სოფელი და ქალაქი ვერ გაერკვა შექმნილ მძიმე პირობებში; ამოვარდნილი ბუნებრივი კალაპოტიდან აქეთ-იქით ეხეთქება „დაწყევლილი კითხვების“ გასარკვევათ და რაკი ვერ ნახა ის, ვინც მუდამ მასთან იყო, დაღმა ცურვას თავი მისცა, გზა და გზა მოხეტიალე კომუნიზმს წააწყდა და მასთან შეჩერება სცადა. კომუნისტებმა მარჯვეთ ისარგებლეს ამით და თავის ჯოჯოხეთური გეგმის გატარებას შეუდგენ. ამით აიხსნება, რომ ბევრი ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის ბალშევიკების გამოსვლა ახალი ამბავი გამოდგა.

მართალია, ბევრ ჩვენ გულუბრყვილო ამხანაგს შეიძლება ორგანიზაციასაც, სჯეროდა, რომ ბალშევიკები ასეთ პირობებში არ ეცდებოდენ თავის ბოროტი მიზნების განხორციელებას ჩვენში და ამიტომ ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ და სათანადოთ არ აფასებდენ, მარა ახლა, ვგონებ, ისი იც დარწმუნდებიან, რომ „ავი კაცი აღდგომასაც ავია“ და აქედან იმ სავალდებულო დასკვნას გამოიყვანენ, რომ შეუძლებელია ასეთი ატროფიული მდგომარეობის გაგრძელება.

აჯანყება ჩაქრობილია, მარა, ჩვენ არ ვართ დაზღვეული, რომ მომავალში ის კიდევ არ გამეორდება. ამიტომ მარტო რეპრესიების შემყურე ვერ დავრჩებით. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლა მაინც გაუწიონ შესაფერი ანგარიში როგორც თავის მოვალეობას, ისე შექმნილ მდგომარეობას და მთელი თავის ძალების ფეხზე დაყენებით აღადგინონ ხალხთან აქა-იქ დაწყვეტილი, აქა იქ შესუსტებული ძაფები.

ბევრი რამ გაუკეთებია ჩვენს პარტიას, დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს მას ხალხის საკეთილდღეოთ, მარა დღევანდელი მდგომარეობა ავალებს მას გაასკეცებული ენერგიით და ხალისით შეუდგეს პარტიული მუშაობის გაჩაღებას. ამისთვის კი საჭიროა, პირველყოვლისა, თავის აპარატების წესრიგში მოყვანა, საჭირო ძალების შეკრება, შემუშავება სათანადო გეგმის და ასე ხალხის წინაშე მოვალეობის მოხდა.

ძველებურათ, ჩვენებურათ, ხალისით და გატაცებით; თავდადებით, ენერგიით აღდგენა და მუშაობა ყველა ჩვენი აპარატის და ასე ხალხის სამშვიდობოს გაყვანა.

დეე ეს უკანასკნელი გაკვეთილი უკანასკნელი მუჯლუგუნი იყოს ჩვენი პარტიული მუშაობის აღორძინებისა...

**განი.**

## უკანასკნელი ცნობები

**საქართველოს ცნობა არგენტინის რესპუბლიკის მიერ.**

გაზეთ „ჰუმანიტეს“ ამა წლის 12 ოქტომბრის ნომერში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „საზავო კონფერენციის საქართველოს დელეგაცია გვატყობინებს, რომ არგენტინის მთავრობამ 15 სექტემბრის დეკრეტით იცნო საქართველო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 ნოემბერი.

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 31. სამხედრო ცნობა. ფინეთის ყურის რაიონში ზარბაზნებს უშენთ მტრის სამხედრო გემებს, რომლებიც განვდევნეთ. ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი, რომელიც მტრის ზარბაზნებს მიზანს უსწორებდა. როჟენის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. გატჩინოს ჩრდილოეთით 5 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მკაცრი ბრძოლით რამდენიმე სოფელი აიღო, წამოიყვანა 100 ამდე ტყვე და ხელთ იგდო ტყვიისმფრქვევლები, სწრაფი შეტევით ჩვენი ჯარი ლუგას 10 ვერსით დაუახლოვდა; ამ ბრძოლაში ზოგმა ნაწილმა სამ დღეში 50 ვერსზე მეტი მანძილი განვლო ბრძოლით კიევის და ჩერნიგოვის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. დიმიტროვის, კრომის, ორლოვის და ელეცის რაიონებში ჩვენი შეტევა მარჯვეთ ვითარდება. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მკაცრი ბრძოლის შემდეგ მტერი კრემიანსკისკენ უკუ აგდო, დიდათ დააზარალა და 52-მე ტყვიისმფრქვეველი წაართვა. ბობროვის რაიონში ბრძოლის ბედი ცვალებადია. ბორისოგლების სამხრეთით და აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელ ცნობებით ჩვენი ორი პოლკის ნაწილებს ნოვოხოპერის დატოვების შემდეგ მტრის მნიშვნელოვანი ძალები გარს შემოერტყა. ტყვიების დახარჯვის შემდეგ ჩვენები იხოცებოდენ და კი არ ნებდებოდენ მტერს, შემდეგ ხიშტებით გზა გაიკაფეს და თავგანწირული ბრძოლით სამშვიდობოს გამოვიდენ. უსტმედვედიცის რაიონში სკურიშჩენსკთან ჩვენ ვუტევთ, ჩორნიიარის რაიონში ავიღეთ სოფ. ზაიმიცე. ურალსკის რაიონში გურევის გზატკეცილის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მარჯვეთ წინ მიიწევს. ტრუბაჩოვის არმიის ნაწილები მდ. იშიმზე გადავიდა, ქ. პეტროპავლოვსკი აიღო და მტრის დამარცხებულ ჯარს საშუალება არ მისცა რკინის გზის ხიდი აეფეთქებინა; დავლის შესახებ ცნობები ჯერ არ მოსულა. ფრონტის სხვა ნაწილებში ჩვენი ჯარი მდ. იშიმზე გადავიდა. იალუტოროვის და ტობოლის რაიონებში ჩვენი შეტევა მდ. იშიმის გასწვრივ და მდ. ვაგაისა და ირტიშზე ზევით გრძელდება.

**მოსკოვი,** ოქტ. 30. არმიისადმი გაცემულ ბრძანებაში ტროცკი ამბობს: № ის არმიამ თავის პირველი მიზანი შეასრულა. მტერი პეტროგრადიდან უკუ აქცია. წითელ დედა ქალაქს საფრთხე აღარ მოელის.

**ლიონი.** 30 ოქტ. გაზის და ელექტრონის ძალის, ქვანახშირის სიმცირის გამო, მოსალოდნელ შეწყვეტის გამო პარიზელები სანთლებს იძენენ.

**ლიონი** 30 ოქტ. „ტან“ ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „სომხეთის მცხოვრებნი შეშინებულნი არიან ოსმალეთის ნაციონალისტურ მოძრაობით. ამ ტერორს ის აძლიერებს, რომ მოკავშირეთა ჯარმა ხელები დაიბანა. სომხები სასოწარკვეთილებამ მოიცვა და სომხეთიდან გარბიან. ოსმალეთის ნაციონალისტთა ბელადების უტიფრობა იქამდე აღწევს, რომ ამერიკის კომიტეტს პურსა და ავტომობილებს ართმევენ.

**ნაუენი.** 30 ოქტ ამერიკელ სენატორების სიტყვით, ვილსონი აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას მომავალ არჩევნებზე.

**№ ის არმიის შტაბი.** 30 ოქტ ჩვენ მხარეზე გადმოსული პოლონელები გადმოგვცემენ, რომ ლოძსა და ვარშავაში უმუშევრობაა.

**ნაუენი.** ოქტ. 30. ფრანგული რადიო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობის პასუხი რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობის შესახებ წინადადებაზე ვერსალში გაიგზავნება. პასუხში ნათქვამია, რომ გერმანიამ თვით გამოსცადა 5 წლის განმავლობაში ბლოკადის საშინელებანი და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია პრინციპიალური უარი განაცხადოს რომელიმე სახელმწიფოს ბლოკადაში მონაწილეობაზე

**ნაუენი.** ოქტ 30. ინგლისიდან მოსული ცნობებით, როგორც სჩანს, ინგლისი აღარ ფიქრობს დახმარება გაუწიოს კოლჩაკს.

**ლიონი.** ოქტ. 30. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ შესდგება ახალი კოალიციონური მთავრობა, სადაც შევლენ ქრისტიან სოციალ. პარტიის მიწისმფლობელთა და სოციალისტურ პარტიების და ლიბერალურ ჯგუფების წარმომადგენელნი.

**მოსკოვი** (გაგრძელება). **სმოლენსკი,** ოქტ. 30. დენიკინის წინააღმდეგ აჯანყება უკრაინაში ვითარდება. კიევში დენიკინი ეხლა ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიაც სკოროპადსკი იყო 9 თვის წინად. გლეხებმა შესწყვიტეს ქალაქების თვის სურსათის მიწოდება. შეპელინსკთან აჯანყებულებმა რკინის გზის ლიანდაგი აყარეს, რის გამოც მატარებელი დაიმსხვრა. მოკლულია დენიკინის 400 ზე მეტი ჯარისკაცი.

**ხარკოვი,** ოქტ. 29. თეთრგვარდიელთა გაზ. „ნოვაია როსია“-ს ცნობით, გენ. არსენიევმა, რომელსაც ნაბრძანები აქვს პეტროგადის ფრონტზე სარდლობა სხვას გადასცეს, 4 პოლკის შემწეობით პსკოვის ფრონტზე მყოფი ბალახოვიჩის რაზმი დაატყვევა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

იმის გამო, რომ ბალტიის მხარიდან ჯარი სწრაფად არ გამოყავთ, გერმანიის მთავრობამ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც იმ ჯარისკაცებს, რომლებიც გერმანიის საზღვარზე არ გადმოვლენ 11 ნოემბრამდე, დეზერტირებათ გამოაცხადებენ. მათ ჩამოართმევენ გერმანიის მოქალაქეობას და იმავე დროს პენსიის მიღების უფლებას.

გერმანიის სახალხო პარტიის წევრმა გეინცმა ეროვნულ ყრილობაში განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ეხლანდელ მთავრობას ნდობა გამოუცხადოთ, ამიტომ ჩვენ ბიუჯეტის წინააღმდეგ მივცემთ ხმას. დამოუკიდებელმა სოციალისტმა ზეგერმა თავის ხმით სთქვა: თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ უარს ვაცხადებთო. მინისტრმა ერცბერგმა უპასუხა: თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ უარს ვაცხადებთო. მინისტრმა ერცბერგმა უპასუხა: დამოუკიდებლებისაგან მე სხვას არაფერს მოველოდი. მემარჯვენეების ახსნითაც მე დიდათ არ გავკვირვებულვარ, მაგრამ უნდა განვაცხადო მკაცრი პროტესტი მოყვანილ დამტკიცებებზე. როგორც პარტიული პოლიტიკური მომუშავე, მე კმაყოფილი ვარ მემარჯვენეთა უარით; გერმანიის ხალხი ასე მალე ამას არ დაივიწყებს. მათი მიზნები სამშობლოსადმი მტრულია ხარჯთ აღრიცხვა მიღებული იქნება, მიუხედავათ სამგვარი ოპოზიციისა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიულერმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მომენტის შესახებ განაცხადა: „ვერსალის კონფერენცია სამხედრო ზომებით და რუსეთის ბლოკადის გამოცხადებით სცდილობს ზავის ჩამოგდებას გერმანიას არ სურს ეს პასუხისმგებლობა იკისროს. ჩვენი პირველი პრინციპია არ ჩავერიოთ რუსეთის შინაურ საქმეებში. რასაკვირველია, ჩვენ სახეში გვაქვს ასეთივე რუსეთის მხრითაც. ამის გამო, ჩვენ იმდენათ ვიბრძოლებთ ბალშევიზმის წინააღმდეგ, რამდენათაც ისინი ფიქრობენ ჩვენ ქვეყანაში ბალშევიზმის გავრცელებას და სცდილობენ ჩვენ რევოლიუციაზე გავლენა მოახდინონ. მეორე პრინციპი—თვით გამორკვევის უფლების აღიარება, რითაც აიხსნება ჩვენი პოზიცია ეგრეთ წოდებულ რუსეთის განაპირა სახელმწიფოების მიმართ. ჩვენ ამაში დავინახავთ უკან გადადგმულ ნაბიჯს, რომ ესგანაპირა სახელმწიფოები დაბრუნებოდენ უწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას; მომავალში მათი გამორკვევა ეკუთვნის მათ, ჩვენ ეს არ გვეხება. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღმოსავლეთ საზღვრებში საზავო პირობები და იმედი გვაქვს, რომ ეკონომიური დამოკიდებულება განახლდება. აღმოსავლეთში, რომ შეთანხმება მომხდარიყო, პოლონეთი, სამხრეთ სლავია, ჩეხო სლოვაკია უიმედო არ იქნებოდა. თუმცა მომავალი ძნელი ამოცანაა იქ, სადაც ეკონომიური და ეროვნული ქაოსი მართველობს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მომავლის პოლიტიკამ უნდა მიიღოს მხედველობაში ის, რომ აღმოსავლეთი ნაწილი ყოფილა რუსეთისა და უკრაინის, საზავო შეთანხმებაში უნდა იქნეს შეტანილი. ჩვენის აზრით, ეს სამხედრო ზომებით კი არ იქნება მიღებული, არამედ უანგარო დახმარებით. გერმანია ეხლა ულონოა ჩაშალოს ამ გვარი მოქმედება, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ თავის მომავალ პოლიტიკას ამ პრინციპების მიხედვით აწარმოებს.

ამიტომ გერმანიის მთავრობა იმ აზრიისაა, რომ იცავს რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩარევის პოლიტიკას და, რომ ეს აზრი არამც თუ სამართლიანია, არამედ მიზანშეწონილიცაა. თუ გერმანიამ მონაწილეობა მიიღო ბლოკადაში, საფიქრებელი არაა, რომ ამას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან თუ რუსეთს ზღვიდან ბლოკადა გამოეცხადა, ხოლო შიგნით ყოველი... (გაუგებარია) გაარკვევს საზღვრებს, რომელიც საზავო ხელშეკრულების და დასტურების შემდეგ ამნაირად ვერ იარსებებს“.

ბოჰემიიდან მოსული ხმებით, კრამარჟი მოკავშირეების თანხმობით რუსეთში წავიდა, როგორც პარიზში რუსეთის ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენელი. მოგზაურობის მიზანია—მჭიდრო გაერთიანება ყველა დემოკრატიულ ელემენტებისა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნა.

ჩრდილო დასავლეთ რუსეთის მთავრობის მეთაური ლიანოზოვი ჰელსინგფორსში მივიდა ფინეთის მთავრობის ზოგიერთ ლიდერებთან მოსალაპარაკებლად ფინეთის საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ფინეთის ყველა სამოქალაქო პარტიების წარმომადგენლებმა რეიხსტაგში პროტესტი განაცხადეს ალანდიის კუნძულების დანაწილების გამო. სოციალდემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, ათი წლის განმავლობაში ხალხში ანკეტა მოახდინონ.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

უმაღლესი საბჭო ეხლა იხილავს ფოშის მოხსენებას გერმანელების მიერ დროებითი ზავის არა ერთხელ დარღვეულ პირობების შესახებ. გადასწყდა: გაეგზავნოს გერმანიის მთავრობას ნოტა ვალდებულების გახსენებით. ნოტის ტექსტს შაბათს გამოიმუშავებენ.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა. **ტაგანროგი,** 18—31 ოქტ. ასტრახანის მიმართულებით ზღვის ნაპირის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ჩერნოიარის მიმართულება: მტერმა ისარგებლა ნისლით და შეტევაზე გადავიდა სოლენო ზაიმი-შჩენსკოესთან. ბრძოლა სწარმოებს. კამიშინის მიმართულება: ვოლგის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ბახტიაროვა აიღო. ლოზნოეს რაიონში მოწინავე რაზმების შეტაკება ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. ბალაშოვის მიმართულება: სად. სკურიშჩენსკოეს რაიონში ჩვენმა ჯარმა ხოპერისკენ დაიხია. ტეპიკინსკოეს აღმოსავლეთით ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენი ჯარი უსტინიარიუჟენსკაიას ფრონტზე გამოვიდა. დამატებითი ცნობებით, ჩვენი ჯარი თავს დაესხა სად გურ სებრიკოვოს, სადაც წამოიყვანა 200 კაცი. ვორონეჟის მიმართულება: ტალოვაიას აღმოსავლეთით პეჩორსკიზე წითლებმა შემოგვიტიეს. ლიკვიდაციისთვის ზომებია მიღებული. მდ. ბეროვოვკაზე მტერი შეეცადა სამხრეთ ნაპირზე გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ლისკის რაიონში დროგამოშვებითი სროლაა. ზემლიანსკის სამხრეთით ჩვენ მტერთან ბრძოლას ვაწარმოებთ. ორიოლის მიმართულება: ჩვენი ნაწილები მტერს სად. დიმნია-კატოვკა-რაკიტნაიოს ფრონტზე აჩერებს.

## პასუხი შიო არაგვისპირელს

ბ-ნო შიო! შეურაცხყოფა მხოლოდ თქვენმა წერილმა მაგრძნობინა. თქვენ არ ეკუთვნით იმ მოწინააღმდეგეთა ჯგუფს, რომელსაც პასუხი ცალკე მივეცი და რაც უკვე გამზადებული მქონდა, როცა თქვენი წერილი წავიკითხე.

მჯერა თქვენი გულწრფელობა და იწამეთ ჩემიც, არც დონ კიხოტობას ვხედავ ჩვენ საქციელში და არც ერეკლე მეფის დამცირებას. ისტორიულ გმირს პატარა კახს ჩვენს ისტორიაში შესაფერი ადგილი აქვს და იქნება, მას ვერავინ წაართმევს ამას.

სკოლასა და ბავშვებს არც ერეკლე მეფის, არც გორგასლანის, არც თამარის და არც სხვა რომელიმე მეფის სახელი არ ესაჭიროება ჩვენი აზრით. ბავშვების გულსა და გონებას ეს არაფერს არ მისცემს. პირიქით, ისინი დემოკრატიულ სახელმწიფოში შორს უნდა იდგენ მეფეებისა და მათ მიერ ნაწარმოები ომების იდეალიზაციიდან. ფსიხოლოგი არაგვისპირელი ამას ჩემზე უფრო გაიგებს თუ რატომ უნდა იყოს ასე, რადგანაც ის გარდა ადამიანის ბუნების ცოდნისა ხალხის შვილი და დემოკრატია, რომელსაც ჩვენთან ერთად სწყურია სამშობლოს ნამდვილი დემოკრატები ეზრდებოდეს შვილებათ. ამაშია ხსნა და ჩვენი მომავალი. წარსულს ყურადღებით მოვეპყრათ და პატივი ვსცეთ შესაფერი. მაგრამ იმით ჩვენ არ ვცხოვრობთ, ჩვენი სარბიელი აწმყოა და რამდენათაც სად მუშაობას ვაწარმოებთ დღეს, განსაკუთრებით მომავალი თაობის აღზრდაში, იმდენათ ჩვენი ერის მომავალი უზრუნველყოფილი იქნება.

ერეკლე მეფის სახელი ჩვენ არ წაგვირთმევია ქუჩისთვის ძველი თფილისის უბანში, შეიძლება კიდევ სხვასაც დავარქვათ, მაგრამ, ვიმეორებ, სკოლისთვის გოგებაშვილის სახელი უფრო შესაფერია.

ჩემს მოადგილე გიორგი კონიევს თქვენ, სულ არ იცნობთ, თორემ სხვა აზრის იქნებოდით მასზე. ის მარტის კი არა ოცი წლის სოციალისტია. 15 წელია რაც პასუხს საგებ მუშაობას აწარმოებს, ამათში ათი წელი მასწავლებლობას, ბავშვებს ევლება თავზე.

განსაკუთრებით ამ სამი წლის განმავლობაში, თქვენ რომ მის მუშაობას იცნობდეთ, დიდი მადლიერი და მეგობარი იქნებოდით მისი. იმან შექმნა ახალი გაეროვნებული სკოლა და მთელი მისი არსება ამას ემსახურება.

ასე ბ-ნო შიო!

რაც შეეხება თქვენი სახელობის სკოლას, თუ კი თქვენ ამის შემდეგ მაინც ულირსათ მიიჩნევთ თქვენი სახელი ატაროს მან, ან ჩვენგან ასეთ უბრალო პატივისცემას არ მიიღებთ, მაშინ რა უნდა ვქნა, ვალდებული ვიქნები გულწრფელი მწუხარებით, მაგრამ მაინც თქვენი სურვილის შესრულებაში მონაწილეობა მივიღო.

თფილისის მოურავი **ბენია ჩხიკვიშვილი.**

# მთავრობაში

**სატელეგრაფო ქსელის გაბმა შეკეთება.**

პროექტი დეკრეტისა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 357,000 მანეთის კრედიტის გახსნისა სატელეგრაფო ქსელის გაბმა-შეკეთებისთვის მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდება.**

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის გადიდებული ნიხრი დამტკიცებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**თფ. თავშესაფარის შენობის გადაცემა.**

თფ. თავშესაფარის შენობა განთავისუფლებულ იქნას და გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს. თავშესაფარი გადატანილ იქნეს ყოფილ სამხედრო საფერშლო შკოლის შენობაში. თავშესაფარის შენობის შესაკეთებლად გაღეპულ იქნეს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში, თანახმათ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვისა, 320,767 მ. 98 კაპ. ხოლო რავშესაფარის გადატანით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ 59,160 მ. სულ 379,927 მ. და 98 კაპ. შესაფერი დეკრეტი წარედგინოს დამ კრებას შინ. საქმეთა მინისტრის მიერ.

**ფოსტა ტელეგრაფის მასალის შეძენა.**

ფოსტა - ტელეგრაფისათვის საჭირო მასალის შეძენა აუცილებელ საჭიროებათ იქნეს ცნობილი. მასალის შესაძენათ საჭირო თანხა გამოთხოვილ იქნას შინაგან საქმეთა უწყების მიერ სათანადო დეკრეტის წარდგ. დამფ. კრებაში.

**რკინის გზების 1918 წ. ზედ-ნახარჯის დაფარვა.**

პროექტი დეკრეტისა, სახაზინო რკ. გზების 1918 წ. ზედ-ნახარჯის დასაფარავათ 52,527,701 მან. კრედიტის გახსნისა მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფ. კრებას.

**შუამდგომლობა ტყიბულის მაღაროების იჯარით გაცემის შესახებ**

ინჟ. წულუკიძის, ყიფიანის, ლორთქიფანიძის და ციციშვილის შუამდგომლობა ტყიბულის მაღაროების იჯარით მიცემის შესახებ გადაეცეს დასკვნისთვის გზათა და ფინანსთა მინისტრებს.

**სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრის განთავისუფლება თანამდებობიდან.**

სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრი გრიგოლ ამბაკოს ძე მახარაძე განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან.

**გამომძიებელთა მოვალეობიდან განთავისუფლება.**

თფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გრაევსკი და ამავე სასამართლოს პალატის ბრალმდებლის ამხანაგი კალვაიტი სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან ა. წ. ნოემბრის პირველიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

**ნაფიც მსაჯულთა სიების შესადგენათ.**

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 9,000 მანეთი 10 მილ. ფონდიდან ნაფიც მსაჯულთა სიების შესადგენათ.

**ძველ თანამდებობაზე დაბრუნება.**

თფ. ოლქის სასამართლოს წევრი კობიაშვილი, რომელსაც, თანახმათ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა, დროებით დავალებული ჰქონდა თფილისის საგანგებო სასამართლოს წევრის მოვალეობის ასრულება სესიის დამთავრების გამო განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობიდან და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას ა. წ. 15 ოქტომბრიდან.

სამიწად მოქმედო სამინისტროსთან არსებულ სამ სემესტრიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები გადაკეთებულ იქნეს ოთხ სემესტრიან კურსებათ.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15,000,000 მანეთი 1919 წ. და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში ჯარისათვის ხორბლისა და პურის შესაძენათ.

# ახალი ამბები

**საერობო არჩევნების შედეგი ახალციხის მაზრაში:** სულ მთელ მაზრაში ამომრჩეველი იყო 38,068. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 31,177. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 30,570, სომხის სახალხო პარტიამ 604.

◆ **ლატარიის გათამაშება.** დღეს, სახაზინო თეატრში მოხდება პირველი ქართული ლატარიის გათამაშება. პირველი მოგება არის 100,000 მანეთი.

◆ **ლატარიის ბილეთები.** ხარფუხის მეორე ქართულ კლუბს გაუსაღებია 665,000 მანეთის, ქართულ კლუბს 470,000 მან., სომეხთა კლუბს 35,000 მან., სახელოსნო კლუბს 72,055 მან. და სხვა კლუბებს 5,000 მანეთის, საერთოთ ყველა კლუბებს ოთხი თვის განმავლობაში გაუსაღებიათ 1,247,000 მანეთის. ლატარიის გამგეობას მთელ საქართველოში გაუყიდია 1 ნოემბრამდე ორი მილიონ მანეთის ბილეთი.

◆ **სახალხო სახლში** ორშაბათს ოქტომბერს გაიმართება მორიგი კონც[...] ტი სახალხო სახლთან არსებულ [...] ლ სამუსიკო [...] ისა კოოპერატ[...] ხელმძღვანელობით მონაწილეობენ: [...] ოპერის მომღერალნი, სა[...] დრო ტაძრის ხორო, და მოდარ[...] ათასეულის მომღერალთა გუნდი. კო[...] ცერტის დასასრულ დაიდგმება ცო[...] ლი სურათი—აპოთეოზი „თავისუფ[...] ბის ძეგლი“.

◆ **აიოლოს ლექცია.** დღეს სახა[...] სახლში აიოლო წაიკითხავს მოხსენ[...] „სამოქალაქო ომი რუსეთში“ თფ[...] პროფ. კავშირი „ნემსის წვერის“ პ[...] ლეტარების სასარგებლოთ: დას[...] ყისი დილის 11 საათზე.

◆ **კოოპერატივ „აღორძინების“** რწ[...] ნებულთა არჩევნები მოხდება 3, 4 [...] 5 ნოემბერს. რწმუნებულნი იქნებ[...] მთავარი ხელმძღვანელნი „აღორძინე[...] და იმუშავებენ აგრეთვე თავიანთ რ[...] ონულ კოოპერატივებში. კენჭის ყ[...] მოხდება საზოგადოების ყველა მა[...] ზიებში.

◆ **შუამდგომლობა.** სომეხთა ერ[...] ნულ საბჭო—საქართველოში—შუა[...] გომლობს ამერიკის „დახმარე კომი[...] ტის“, სომხეთისა და საქართველ[...] მთავრობათა წინაშე, რათა დახმარ[...] აღმოუჩინონ ახალქალაქის მაზრის [...] მეხ მცხოვრებლებს სათესლე ხორბლ[...] სამეურნეო იარაღებით და სხვა.

◆ **გამომცემლობა.** თფილისში შე[...] გა გამომცემელთა ამხანაგობა სახე[...] წოდებით: „ქართული ბიბლიოთეკ[...] რომელსაც განზრახული აქვს გამოს[...] ქართველ მწერალთა, როგორც დაუბ[...] დავი, ისე დანაბეჭდი სამხატვრო [...] სამეცნიერო ნაწარმოებნი. ამხანაგო[...] უკვე შეიძინა უფლება და ამ დღეებ[...] გამოსცემს დიაჩიანელის რომანს „[...] თოს“. განზრახულია აგრეთვე სახე[...] მძღვანელოების ბეჭდვაც.

◆ **ახალი დებულება ერობის** შე[...] ხებ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ერ[...] ბათა მთავარ კომიტეტთან ერთად იმ[...] შავებს ერობის შესახებ ახალ დებუ[...] ბას.

◆ **დრამატიული განყოფილება** ს[...] უნივერსიტეტთან გაიხსნება 3 ნოემბერ[...] რადგან მსურველთა რიცხვი დიდია, ამ[...] გამო მიღება მოხდება გამოცდებით.

◆ **მანუფაქტურა ერობებისათვის**. ერობათა კავშირის მთავარმა გამგეობ[...] მთავრობას თხოვნით მიმართა, რა[...] დაუთმონ ერობებისათვის გასანაწილ[...] ლად სამანუფაქტურო საქონელი.

◆ **შაბიამანი.** მოსკოვის სახალ[...] ბანკის თფილისის განყოფილებამ [...] იღო ინგლისიდან შაბიამანი, რომე[...] ყიდვა შეუძლია მხოლოდ ერობებს, ფ[...] თი 400 მანეთად.

◆ **ამიერ - კავკ. უნივერსიტეტ[...]** ამიერ კავკასიის უნივერსიტეტში იხს[...] ბა საისტორიო და სიტყვიერების ფ[...] კულტეტი, სადაც დღემდის მეცადინე[...] ბა შეჩერებული იყო. პროფესორებ[...] მიწვეულნი არიან: ვ. ფ. ტოტომიანც[...] ავალიანი, ლ. გორდეევი, ლ. მ. მე[...] ქისეტბეკოვ, პოლაშევსკი და სხ.

◆ **შკოლებისათვის.** საქართველო[...] არსებულ სომეხთა ეროვნულ საბჭ[...] ახალქალაქის მაზრაში სომეხ ბავშვე[...] თვის სკოლების გასახსნელად გადასც[...] ათი ათასი მანეთი.

◆ **ქართული ენის მეთოდიკა.** ხონ[...] სასოსტატო სემინარიის მასწავლებე[...] ვარლამ ხუროძე ადგენს ქართული ენ[...] მეთოდიკას, რომელიც გამოვა სამ ნაწ[...] ლად: 1) მეთოდიკა კითხვისა და წერ[...] შესწავლისა; 2) მეთოდიკა ახსნითი კ[...] ხვისა და 3) მეთოდიკა გრამატიკი[...] პირველი ნაწილი უკვე დასრულებუ[...] და დანარჩენი ნაწილებიც მალე იქნ[...] მზად. თითოეულ ნაწილს დამატე[...] ექნება დართული ზოგიერთი ნაწილ[...] საკუთრივ პედაგოგიკის. პირველ ნაწი[...] მაგ., დაემატება საზოგადო დიდაქტ[...] რი მოთხოვნილებანი, საშკოლო დ[...] ციპლინა, მასწავლებლის პიროვნებ[...] მნიშვნელობა, შკოლის მართვა გამგე[...] და სხვ. ავტორს ჯერჯერობით ვე[...] მოუნახავს შესაფერი გამომცემელი.

◆ **ამხ. რაფ. ჩიხლაძის** სურათ[...] გამოვიდა და იყიდება კან. „განათლ[...] ბა“-ში ფასი 10 მან.

◆ **ნავთი.** თფილისის სასურსათო გა[...] გეობა ამ დღეებში გაანაწილებს ქალ[...] ქის რაიონულ კომიტეტებისათვის ნავ[...] ფუთი ეღირება 64 მან.

◆ **სენატში.** სენატის ბრალმდებლ[...] კანცელარიის მდივნებათ დაინიშნე[...] საკასაციო და სისხლის სამართლის გ[...] ყოფილების—ხოჯიანი, სამოქალაქოს[...] ი. ჯავახიშვილი.

◆ **სახელმძღვანელო წიგნები.** ქ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ[...] გადოება ბეჭდავს და ამ დღეებში გა[...] ყიდათ გამოვა შემდეგი სახელმძღვა[...] ლო წიგნები: 1) „არითმეტიკული ამ[...] ცანათა კრებული“ 1 და 2 ნაწ., ე. ბ[...] მელაშვილისა, 3) მისივე „არითმეტ[...] სახელმძღვანელო“, 4) „ბუნების მე[...] ყვლება“ ს. იაშვილის, 5) მისივე „გე[...] ოგრაფია“: აზია, აფრიკა, ავსტრა[...]

და ამერიკა, 6) პროფ. ალ. ხახანაშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია ძველი დროიდან 18 საუკ. გასულამდე“, 7) „დედა ენა“ და 8) „დედა ენა“ მე-2 ნაწ. ყველა ჩამოთვლილი გამოცემა სახალხო განათლების სამინისტროსაგან მოწონებულია, როგორც საუკეთესო სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.

✦ **მოვალეობის მსხვერპლნი.** 30 ოქტომბერს ყაჩაღების მიერ ლიანდაგის აყრის შედეგათ მოჰყვა მატარებლის დამსხვრევა, რამაც იმსხვერპლა ორი მემანქანის თანაშემწე ბათიაშვილი და გოგილაშვილი. მემანქანე მურადოვი მძიმეთაა დაშავებული. დაღუპულთა გამოსვენება მოხდება ორშაბათს 3 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე დასაფლავება კი წმინდა ნინოს სასაფლაოზე სამოქალაქო წესით.

✦ **ქურდობა.** 30 ოქტომბერს, პოლიციის ქუჩაზე, მცხოვრებ ნინა ოგანოვისას ქურდებმა მოჰპარეს საოჯახო ნივთები, ღირებული 43,805 მანეთად.

✦ **სიღნაღის სამაზრო ერობა** იწვევს მასწავლებლებს სოფლის სკოლებისათვის—ჯამაგირი 1,500 მანეთი, სახლი, შეშა და მოსამსახურე. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დეპეშით ან პირადათ სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობას.

✦ **დაიკარგა** ლევან ზაქარიას ძე ზირაქაშვილი 50 წლისა, საშუალო ტანისა, წვერ გაპარსული ჭაღარა თმიანი, შავი ტანსაცმელი აცვია. ვინც იცის სად იმყოფება შეატყობინოს ნისხლის სამართლის მილიციას. (განოვის ქ. № 12).

**კრებები.**

დღეს, დილის 11 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში შესდგება სტუდენტთა კოოპერატივის დამფუძნებელი კრება. ასარჩევია კოოპერატივის გამგეობა და გადასაწყვეტია მნიშვნელოვანი საკითხები.

— დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე თფ. პოლიტეხნიკუმის მე-3 დარბაზში დანიშნულია ყველა ფაკულტეტების ყველა კურსების სოც.-დემ. სტუდენტთა კრება.

— დღეს, 5 საათ. დანიშნულია საქ. ახალ. მარ. ორგ. ცეკას მორიგი კრება.

— დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. კუკიის რაიონის წევრთა საზოგადო კრება მუშათა კლუბში (ყოფილ ავჭალის აუდიტორიაში). დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— დღეს, დღის 12 საათ. შესდგება არაჩვეულებრივი კრება მე 3 რაიონთან არსებული ახალ. მარქ. ორგანიზაციისა.

— დღეს საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია კრება მე 4 რაიონის კოლექტივის საქ. ახალ. მარქ. ორგანიზაციისა.

— დღეს, „კინო პალასში“ (მიხეილის ქუჩა, 125) შესდგება ელექტრიკების კრება.

— დღეს, სახელოსნო კლუბის დარბაზში, დანიშნულია ლითონზე მომუშავეთა კრება.

— თფილისის თუთუნის ქარხნების თვიურ მოსამსახურეთა კრება დანიშნულია დღეს პუშკინის სამკითხველოს შენობაში გიორგევის ქუჩაზე, დასაწყისი საღამოს 4 ნახ. საათზე.

## მუშათა წერილები

**საუბარი გლეხებთან.**

I

ამხანაგო გლეხებო! მე მინდა დავიწყო თქვენთან საუბარი ჩვენს თავზე გადასულ იმ ამბების შესახებ, რაც წყეულმა ცხოვრებამ თავიდანვე წილათ გვარგუნა და რაც მთელი საუკუნოების განმავლობაში გვტანჯავდა და მიწასთან გვასწორებდა. საზოგადოთ, გლეხი კაცის ბედი მთელი მისი სიცოცხლის არსებობა თვით მონობის დროიდან დღევანდლამდე, რომ დაბეჩავებული და ყველასაგან ათვალისწინებული იყო, ეს ალბათ, თქვენც გაგიგონიათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ადამიანმა თავისი წარსული უბედურების მიზეზი საბუთიანათ გაიგოს და ახალ შეცვლილ ცხოვრებას მაინც შეგნებულათ და მომზადებულათ დაუხვდეს. ყველა ეს ზემოთ ნათქვამი აზრი რომ დაწვრილებით მოგახსენოთ, საჭიროა შორიდან დავიწყოთ ლაპარაკი და რაკი ჩვენი ცხოვრების თავგადასავალს კარგათ გავეცნობით, მაში ჩვენთვის ადვილი საქმე იქნება დღევანდელ მდგომარეობაზედაც სწორი და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

ბატონ-ყმობის მომსწრე პირები დღეს ჩვენში იშვიათად მოიპოვებიან; მას შემდეგ 60 წელმა განვლო და ჩვენს თაობას თითქმის დაავიწყდა ის საშინელი დრო, როდესაც ერთი ადამიანი იყო ბატონი და მეორე კი მისი მონა; როდესაც სულთამხუთავ მებატონის შიშისაგან შეშინებული და წელში გატეხილი გლეხკაცობა თავის ბატონის სიმკაცრეს და ძლიერებას ღვთის სიმკაცრეს და ძლიერებას ადარებდა, რასაც გლეხი იმ დროს ორ უმთავრეს სიტყვაში გამოხატავდა ხოლმე: „ბატონის და ღვთის რისხვა დაგატყდეს, ბატონის და ღვთის წყალობა არ მოგეშალოსო“. აი ეს ორი სიტყვა „რისხვა“ და „წყალობა“ მეტათ დამახასიათებელია მაშინდელი გლეხის სულის კვეთების, ეს სიტყვები ნათლად მოწმობენ იმას, თუ რა განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა ბატონი და როგორი უმწეო და უუფლებო იყო გლეხი. თავადიშვილი, ეს სახელწოდება ლითონი სიტყვა როდი გახდა, თავადი ეს დიდი მიწა-მამულის მფლობელი ბატონი ბრძანდებოდა; მას თავის სამფლობელოში ჩასახლებული ყავდა მრავალი გლეხობა და მათ ბედს როგორც სურდა ისე განაგებდა.

გლეხს, ბატონის ბევრი სამსახური ემართა; ერთი მოჯალაბე ბატონის სასახლეში მუდმივათ მუშაობდა, ამას შინა ყმას ეძახდენ, მასთან ბატონს ყოველ წლიური ხარკიც მიჰქონდა: კარგი ნასუქი ღორი, ქათმები, პური, ღვინო, ლობიო და სხვა. ამას გარდა ბატონს შეეძლო, რასაც კარგ რამეს დაუნახავდა თავის ყმას, ტანზედ ან ოჯახში, ყველაფერი ჩამოერთვა. გლეხი ბატონის სრული საკუთრება იყო და მის ნება სურვილს უნდა დამორჩილებოდა. გლეხს ბატონი თითონ ასამართლებდა, როგორც სურდა ისე დასჯიდა, გაყიდიდა, გააჩუქებდა, თავის ქალიშვილს მზითვად გააყოლებდა. გლეხი უბატონოდ ვერც ცოლს შეირთავდა და ვერც ქალს გაათხოვებდა, ბატონი ხშირათ იმ მხეცობასაც ჩაიდენდა, რომ თავის ყმის ახალ ჯვარდაწერილ პატარძალსაც, პირველ ღამეს, თითონ მიისაკუთრებდა ხოლმე.

ბატონი თავის ურჩ ყმას მოსთხრიდა, მარჩენალ ხარსა და ძროხას თვალწინ დაუკლავდა და ამგვარათ იმორჩილებდა. გლეხს არც პირადი უფლება ჰქონდა, ის ბატონის უნებურათ გარეთ ფეხს ვერ გადადგამდა და ვერც სადმე საქირაოზე გავიდოდა; ერთი სიტყვით, გლეხობა ყოველგვარ ადამიანის ღირსებას მოკლებული იყო. და აი ამ გარემოებით გაჩნდათ გამოწვეული ასეთი შეხედულებაც: „გლეხის და თავადის სისხლი სულ სხვადასხვა არისო“.

ასეთი უფლება თავად-აზნაურებმა ერთმანეთ შორის თითონვე დაინაწილეს. მეფის ან მთავრის არჩევის უფლება კანონით მხოლოდ თავად-აზნაურობას ჰქონდა. არჩეულ მეფეს უმაღ სამღვდელოება თავის ლოცვა-კურთხევით დაადასტურებდა და ამ გვარათ ევლინებოდა ქვეყანას მეფე. ხალხს არავინ არაფერს კითხავდა, ის მხოლოდ მეფისა და თ.-აზნ-ბის მონა იყო. მათ დაიქირავეს საიდუმლო ჯაშუშები, ჟანდარმები და ამგვარათ მეფისი და თავადების წინააღმდეგ უბრალო სიტყვაც, რომ ვისმეს გაებედნა, ყველას სიკვდილით და კატორღით დასჯიდენ ხოლმე. აი ასეთი იყო ბატონ-ყმური და თვით მპყრობელ მეფის სახელმწიფოებრივი წესწყობილება.

ჭაღარა მუშა.

(შემდეგი იქნება)

## აძერბეიჯანში

**აძერბეიჯანის ახალი კაბინეტი.**

ახალ კაბინეტში, რომლის შედგენაც უსუბეგოვს აქვს მინდობილი, შევლენ—ხან ხოისკი, ხასმამედოვი, მელიქ-ასლანოვი, მეხმანდაროვი (სამხედრო მინისტრი), ჯაფაროვი, მამედბეგოვი—იტიხადიის კანდიდატი. სწარმოებს მოლაპარაკება პორთფელების განაწილების შესახებ. სოციალისტები და ეხრარის ტეზი—ოპოზიციაში ჩაუდგებიან ახალ მთავრობას. („ის.“)

## რუსეთში

**დენიკინი ოდესაში.**

დენიკინმა ადესაში ყოფნის დროს მიიღო რამდენიმე დელეგაცია: დელეგაციას გიორგის ჯვრის კავალერებისა, რომელთაც სთხოვეს დენიკინს მიეღო მათი კავშირის საპატიო წევრის სახელწოდება, გენ. დენიკინმა უპასუხა, რომ გიორგის ჯვრის კავალერების კავშირები სხვა და სხვა ქალაქებში ათასგვარ მეტამორფოზებს ახდენდენ, მე ჯერ გამოვარკვევ საქმეს და მერე მოგცემთ პასუხსაო. სომხების დელეგაციას დენიკინმა უთხრა, რომ კავკასიის ჩამოშორების დროს, და კავკასიის სახელმწიფოების კავშირის დაარსების დროს, რომელშიაც შედიან ადერბეიჯანი და საქართველო, სომხებმა დახმარება არ აღმოუჩინეს მოხალისეებს ზურგიდან. ლატიშთა დელეგაციას დენიკინმა უთხრა, რომ მას სურს იცოდეს, ვისი სახელით ელაპარაკებიან—ადესის ლატიშების სახელით, თუ სუვერენულ სახელმწიფოს სახელით. „ამისთანა სახელმწიფო მე არ ვიციო“.

(„ზნ. ტრ.“).

## შრომის სამინისტროსაგან

სახელმწიფო ფონდიდან რომ განაწილებულ იქნას სურსათი მუშებსა და მოსამსახურეებს შორის მიზანშეწონილად და სწორად, შრომის სამინისტრო აწყობს მუშების, მოსამსახურეების და ოჯახების აღწერას. აღწერა უნდა მოხდეს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში მათი პატრონების ან და გამგეების მიერ. საპირადო ბარათები აღწერისათვის მიეცემათ შრომის სამინისტროში (პეტრე დიდის ქ. № 8) და წესებ. და წარმოებების რწმუნებულთ სამშაბათიდან (4 ნოემბ.) შაბათამდე—8 ნოემბრამდე, დილის 9—3 საათამდე. პროვინციის დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს შრომის კომისრებისა და შრომის სამინისტროს რწმუნებულთაგან. ბარათები შევსებული უნდა დაუბრუნდეს სამინისტროს ერთი კვირის განმავლობაში. სავალდებულო დადგენილების თანახმად, თუ ბარათები არ იქნება დროზე შევსებული, პასუხს აგებენ დაწესებულებების უფროსები და წარმოებების პატრონები. რადგანაც სანოვაგეს მიიღებენ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც ამ აღწერაში იქნებიან შეტანილნი. ამის გამო ყველა უნდა ცდილობდეს დროზე მიაწოდონ ცნობები სამინისტროს. ვინც ყალბ ცნობას წარმოადგენს, მას არ მიეცემა სურსათი და პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით დათხოვნილ იქნება სამსახურიდან.

## რაფიელის ხსოვნას

ექვსი თვის შემდეგ მე ისევ ვკვნესი,
ექვსი თვის შემდეგ მე ისევ ვტირი,
გულში მესობა სევდათა ნემსი,
ცრემლები მახრჩობს, ცრემლები, ხშირი!

ძმაო რაფიელ, სადა ხარ ახლა?
შავმა ზრახვებმა როს გული დახრა,
როს კვალ-კვალ დაგვსდევს მტერი, ვით გზირი,
დღეს უფრო გვინდა გულ წრფელი გმირი!

ვ. რუხაძე.

— —

**ხალხის დაკარგულ მეგობარს რაფიელს.**

„სიტყვა მამაცო!“—ხალხის გულში ისმის ძახილი...
შენ მას მიეცი სისხლულვრელათ მჭრელი მახვილი,—
გმირული გრძნობა სიყვარულით გაათავხედე,
მრისხანე თვალში ვეფხს მლიმარედ გამაახედე,—
რომ ერის გულში სასიცოცხლო ენთოს კოცონი...
და წინ დახვდება მტერს საქმენი სავაქკაცონი!..

—

აწ შენს დუმილში, ვით მთას იქით მზე ჩაესვენა!
სხივოსან სახეს დაეუფლა იქ ზესთა ზენა,—
მაგრამ ამ ქვეყნათ შენ დასტოვე დიადი მცნება
და მას უკვდავი, თან ატარებს—ხალხის ოცნება.

ვ. ტუქსიშვილი.

———

**რაფიელს**

შენ რომ წადი მას შემდეგ არაფერი შეცვლილა:
სევდა ისევ სულს იპყრობს, სევდა გულთან შეზრდილა.
ჩვენი თავისუფლების მტრები ხშირად დგებიან;
შენი სატრფო მებრძოლნი გაბედულად ხვდებიან.
და გაისმის ყიჟინა... შენ კი წევხარ მდუმარე...
და გაისმის ქვითინი, კვნესა და სიმწუხარე.
ან შენს ობლებს რას ეტყვი, ან შენს გულით მეგობრებს?!
ალსდეგ, შენებრ დაგვძახე და განშორდი საფლავს მკვდრებს!
მაგრამ... ჰეა, ოცნებავ, შორს წავიდეთ, სადმე შორს...
რადგან ველარ ვიხილავთ ჩვენი გულის თანასწორს.
მოისვენე ძვირფასო, აწ არვინ შეგაწუხებს...
შენს ობლებთან თვით ხალხი მტარვალს დაამარწუხებს!

მეჩონგურე.

## თფ. სამაზრო ერობაში

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა აპირობს ფართოდ მოეწყოს მაზრაში საფეიქრო სახელოსნოები. ამ დღეებში უკვე დაიწყო მუშაობა საგარეჯოსა და ნინოწმინდაში და ამ ცოტა ხანშივე დაიწყობა მუშაობა პატარძეულში და ხაშმში. საფეიქრო სახელოსნოების გამგეთ მოწვეულია ქ-ნი ანნა ანდრიას ასული კაპანაძე, რომელიც ამ საქმეში დახელოვნებულია. თანაშემწეთ თვითოეულ სახელოსნოში მიღებული არიან ქ ნ კაპანაძეს ნაშეგირდლები.

თფილისის მაზრის ერობის ივრის თემი, სამაზრო ერობის დახმარებით იწყობს ნახშირის წარმოების ფართოდ დაყენებას. იმედი აქვთ ნახშირის ფასი თფილისის ბაზარზე საგრძნობლად დასწიონ.

უკვე დაიწყო წესიერი მიმოსვლა თფილისსა და აღბულაღს შუა (ფასი კაცის თავზე 200 მ.) ამ დღეებში დაიწყობა აგრეთვე თფილისსა და მანგლისს შუა (ფასი 200 მ.) ჩასაჯდომი ივლის კვირაში ორჯელ თფილისიდან და ორჯელ თფილისისკენ.

თფილისის მაზრაში გადასახადების საქმე თანდათან იწყობა. უკვე დაწყობილია გადასახადების აკრეფა და შემოტანა ერობის კასაში.

ერობის ინჟენრად მოწვეულია ინჟენერი ირაკლი ბურჯანაძე, რომელიც 1 გიორგობისთვიდგან უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

## ტრამვაი უწესოთ დადის

ტრამვაის მიმოსვლა ყოვლად უმზგავსოთ და ურიგოთ სწარმოებს. საერთოთ, რომ ტრამვაის მეურნეობა დაცემულია, ამაში შეიძლება ბრალი ვერავის დავდოთ, რადგან ეს გარემოება სავსებით დამოკიდებულია საერთო ეკონომიურ მდგომარეობაზე და ამის შესახებ საყვედური უადგილოა. მაგრამ არავითარ გარდაუვალ პირობებზე არ არის დამოკიდებული ის გარემოება, რომ არსებული ვაგონები მიმოდიან სრულიად უწესოთ. ამ სტრიქონების დამწერს საათნახევარი მოუნდა მუშტაიდიდან რუსთაველის პროსპექტამდე ამოსასვლელათ. განსაკუთრებით უთავბოლო მოძრაობა ხდება შუადღისას. ხშირათ ერთი მიმართულების ვაგონები ერთი მეორეს მისდევს კვალ და კვალ, უმეტესობა, რასაკვირველია, ცარიელი. ხოლო მეორე მიმართულებით კი თითქმის ორმოცი წამისა და მეტის განმავლობაში ვაგონების ჭაჭანებაც არ არის. ვფიქრობ, რომ ამის მიზეზის ძებნა მსოფლიოს ეკონომიურ კრიზისში უადგილოა. ასე შორს წასვლა ზედმეტია—ჩემის აზრით, თავისუფლების მოედანზე შეიძლებოდა ამ კითხვის გადაჭრა.

მგზავრი

## გერმანიაში ტყვეთ ნამყოფთა საყურადღებოთ.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ გადადებულია საჭირო თანხა იმ პირთა და სამხედროთა (?) მოსამსახურეთა, რომელთაც ქალაქ გამბურგში საქართველოს წარმომადგენელს ჩააბარეს საკუთარი ფული (გერმანული მარკებით) და სათანადო კვიტანციები მიიღეს. ამ გვარ კვიტანციების მქონეთ კვიტანციების წარმოდგენისთანავე შეუძლიათ მიიღონ კუთვნილი ფული (მ მ. და 50 კ. თითო მარკაში) სამხედრო სამინისტროში, ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, დილის 10—12 საათამდე.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიის სამეურნეო ნაწილის საქმის მწარმოებელი ა. ნეიმანი.

## ამხ. რაფიელ ჩიხლაძის ხსოვნას

დღეს ნახევარი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რომ ცივ სამარეს მივაბარეთ ამხ. რაფიელი.

იმ დროს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა საფრთხის წინაშე სდგას, წუთის სოფელს გამოსალმებულ ამხანაგებზე გოდება, თითქოს გავიწყდება, მაგრამ, ისეთი თვალსაჩინო ამხანაგის დაკარგვა, როგორიც იყო რაფიელი, ყოველივე დანაკლისს აღემატება. მისი რევოლუციონურ დემოკრატიის რაზმიდან უდროოთ მოწყვეტა იმდენათ საგრძნობია, რომ არ შეგვიძლია თვით ამ მომენტშიაც არ მოვიგონოთ ის და არ შევჩერდეთ მის ხსოვნაზე.

ამხ. რაფიელმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის კეთილ დღეობას. ის მუდამ იბრძოდა ხალხისთვის და მასას დიად მომავალი სჯენ მოუხმობდა. დღეს ექვსი თვე შესრულდა, რაც რომ ძვირფასი რაფიელის,—ამ მუშათა კლასის მესაჭე და დიდი ტრიბუნის—მეურმეტყველური სიტყვები აღარ გვესმის.

ჩვენ რაფიელში დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი წმინდათა-წმინდა იდეალებისათვის, პროლეტარიატმა მასში დაკარგა შეუდარებელი ტრიბუნალი.

რაფიელი აღარ გვყავს, მაგრამ მისი ხსოვნა ჩვენ მუდამ გვამხნევებს და მაგალითს გვაძლევს დაუღალავი მუშაობისას. ეხლა, როდესაც შავ-ბნელი ძალები გარს გვახვევია, რომლებიც რევოლუციის მონაპოვ რთათვის საშიშროებას წარმოადგენენ და შთანთქვას უპირებენ ჩვენს თავისუფლებას, ჩვენ გაორკეცებული ძალით ვიბრძოლებთ იმ წმინდა იდეის გასამარჯვებლად, რომელსაც რაფიელი მთელ თავის სიცოცხლეში თავგამოდებით ემსახურებოდა.

განისვენე ძვირფასო ამხანაგო რაფიელ იქ, სადაც შენებრ თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლნი განისვენებენ და იქიდან შთაგვბერე გამამხნევებელი ძალა დიად ბრძოლაში.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## ჩვენი ტრიფონი

(მოგონება.)

სრული ერთი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ქუთაისის მუშებმა შავ მიწას მიაბარეს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი ამხ. ტრიფონ სალაია. ჩვენი ჭაღარა ტრიფონი, ჩვენი ოქროპირი ტრიფონი, ჩვენი გვარდიელი ტრიფონი და ჩვენი მუშა მწერალი ტრიფონ მაიდნელი.

ამ სტრიქონების დამწერს, ერთს მის ამხანაგთაგანს მსურს მოვიგონო მისი წარსული მუშაობა, მისი წარსული მოღვაწეობა.

მე მას დაუახლოვდი 1914 წელს, ჩვენ იმ ხანებში ხშირად ვხედებოდით ერთი მეორეს და გვქონდა სხვადასხვა საკითხებზე აზრთა გაცვლა გამცვლა. რასაკვირველია, ჩვენებური ენით. მე პირველ ხანებში მეტათ დაინტერესებული ვიყავი ტრიფონის დაახლოებით, რადგანაც ის იმ ხანებში ჩვენს ყოველ დღიურ გაზეთში ხშირად ათავსებდა წერილებს სხვადასხვა საკითხებზე მუშათა წერილების სათაურით. ეს სათაური მე მეტათ მხიბლავდა, იმიტომ რომ ვხედავდი მუშას, თავის მდგომარეობით, შეგნებით და მუშაობით ნამდვილ პროლეტარს, პროლეტარული სულით ანთებულს. მახსოვს ქუთაისში (1913 წ.) ა. გელეიშვილმა ლექცია წაიკითხა შემდეგი სათაურით „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი“. ამ ლექციამ დიდი აურ ზაური გამოიწვია ჩვენს ნაციონალისტებს შორის, რომლებმაც თეატრი გაავსეს მოსწავლე ახალგაზრდობით და ლექტორს ბოლოკებით გაუმასპინძლდენ. ამ გარემოებამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, როგორც პრესაში, ისე სხვა და სხვა კრებების დროს. ამ ინციდენტის გამო ამხ. ტრიფონმა დაბეჭდა ერთი წერილი მაშინდელ ყოველ დღიურ გაზეთ „მერცხალში“ მაიდნელის ფსევდონიმით, რომელმაც ძლიერ გააბრაზა ჩვენი ნაციონალისტები. ტრიფონი იმ ხანებში რაღაც მიზეზების გამო პარტიაში სხვათა შორის მუშაობდა. 1915 წელს ქუთაისის მუშებს ერთი უბედურება ეწვია, ეს იყო ქუთაისის მუშების ბელადის ამხ. მელიტონ ბერიშვილის სიკვდილი. ქუთათური მუშები და ჩვენი პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელებიც ძლიერ დაალონა მელიტონის სიკვდილმა. ჩვენს მუშებს შორის შესდგა მელიტონის დამმარხველი კომიტეტი, ამ კომიტეტმა ამხ. ტრიფონს დაავალა მელიტონის დასაფლავებისას ქუთაისის მუშების სახელით სიტყვა წარმოეთქვა. ამხ. ტრიფონმა ეს დავალება ამხანაგებისა პირნათლად შეასრულა და მელიტონის დასაფლავების დღეს მან თავისი სიტყვაში ხაზ გასმით აღნიშნა, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავს მუშათა კლასის განთავისუფლების იდეას. და ეს თავის სიტყვები მან პირნათლად შეასრულა. ამხ. ტრიფონი ამ დღიდან სხვა ამხანაგებთან ერთად სათავეში უდგება პარტიულ მუშაობას. მახსოვს ერთი საღამო. ეს იყო 1916 წ. ივლისის თვის მიწურული. საღორიის ტყის მახლობლად ამხ. ვ.-ს—ძის სახლში არა ლეგალური კრება გვქონდა. ამ კრებაზე ერთი დიდი საკითხი უნდა გადაჭრილიყო. ეს იყო ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა გაფიცვის გადაწყვეტა, რომელსაც სარჩულად ჰქონდა ეკონომიური ხასიათი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ხსენებულ დარგის მუშებმა ხაზეინებს წაუყენეს მოთხოვნილება და ხაზეინებმა უარყოფით უპასუხეს. ერთად-ერთი საშუალება დარჩა გაფიცვა. ამ კრებაზე ბევრი ძველი ამხანაგები დაესწრო და მათთან ერთად ჩვენც ახალგაზრდებიც ვიყავით. ხსენებული კითხვის გადაჭრამ მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო, იმიტომ რომ გაფიცვას ჩვენ ახალგაზრდები უჭერდით მხარს, ძველი ამხანაგები კი წინააღმდეგი იყვნენ გაფიცვისა, რადგანაც მათი შეხედულებით გაფიცვა დამარცხდებოდა. მხოლოდ ძველი მომუშავე ამხანაგებიდან, ერთად ერთი ამხ. ტრიფონი იყო გაფიცვის მომხრე. ხმის უმრავლესობით გავიდა გაფიცვა, რაც უკვე ფაქტათ იქცა. ხსენებული გაფიცვა ჩვენდა სასარგებლოდ გათავდა. ამ გაფიცვამ და გაფიცვის გამარჯვებით დასრულებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ქუთაისის მუშებს. ამ გაფიცვას სხვა გაფიცვებიც მოჰყვა, რომელნიც გამარჯვებით დასრულდა. 1917 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ ამხ. ტრიფონი მთელი თავისი არსებით გადაეშვა რევოლუციის [illegible] ტალღებში. ამხ. ტრიფონს ჩვენ ვე[illegible] ვხედავთ სტამბაში მომუშავეთ. ის ამხანაგების [illegible] და აწყობს რევოლუციონურ ორგანიზაციებს. [illegible] საკუთარი რევოლუციის უმაღლესმა ორგანომ მუშათა საბჭომ. ამხ. ტრიფონი ამხანაგების დავალებით ბევრ საპასუხისმგებლო ორგანიზაციებში მუშაობდა. ის იყო მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სოც.-დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტის წევრი, ბეჭვდითი სიტყვის მუშათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და ქუთაისის მუშათა პროფ. კავ. ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე.

ვის არ მოაგონდება ამხ. ტრიფონი მუშათა საბჭოს კრებებზე, რომელიც ფაფარ აყრილი მტერს რაინდულათ ხვდებოდა, ვის არ უნახავს ამხ. ტრიფონი საზოგადოთ მიტინგებზე და თოფ გადაკიდებული ბათუმის, ლეჩხუმის და სხვა ფრონტებზე მიმავალი... ყველა ეს წარსული სურათები ჩვენ მუდამ თვალწინ გვიდგია და არც შეიძლება ჩვენს მეხსიერებიდან ამოიშალოს. ჩვენ ქუთათური მუშები, ამხანაგ ტრიფონს, გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულებისას, ვიგონებთ იმ იმედით, რომ მისი წარსულის მოგონება ბევრს ახალგაზრდობას აღზრდის და დააყენებს მის საყვარელ გზაზე... ი. წიქორიძე.

## პატარა ფელეტონი

**ზოდვა**

IV

(არც მთლად დასაბამი გიჟის და არც მთლად ასაშვები ჭკვიანის).

დეკრეტი № 2.

ყოველთა და ყოვლისათვის!!!

„ჩვენ არ დავიღლებით, გავიმეორებთ ერთსა და იმავეს, მანამდე, ვიდრე ჩვენსას არ მიხვდებიან“, თუ მახსოვნობა არ მღალატობს აქსელროდის ნათქვამი უნდა იყოს. მეც არ დავდუმდები, ვიდრე არ დამადუმებენ; ერთ ადგილას გაჩერებას, მუნჯათ ყოფნას, სიკვდილის შემდეგაც მოვესწრები.

განვაგრძობ.

გურიაში კი არა, გურიის გარეშეც ცნობილი ბებურ ბებურიშვილი, მოსწრებული და ენაწყლიანი, სუფრის ნაფიცი თამადა, სადღეგრძელოს არასოდეს არ დაასახელებდა, არამედ ისე დაახასიათებდა, რომ თუ ვისი სადღეგრძელო იყო, შენ თვით მიმხვდარიყავი—მითითება, თვალში თითის ტაკება რასაჭიროაო,—იტყოდა. მართალია, მე ჩემ თავს სრულიად საქართველოს დიქტატორობა უბოძე, მაგრამ რადგან მთლად გიჟი არ ვარ და რაკი კარგად ვიცი, რომ დღეს არამც თუ ჩემებრ უკურთხ დიქტატორს, არამედ თვით ნაკურთხსაც კი ზეიდან თუ არა ქვეიდან მაინც ყავს მბრძანებელი (არა ერთი, არამედ ლეგიონი), ამიტომ უფლებას ვიკვეც, პირდაპირ ბრძანებას თავს ვანებებ, არავის არ მიუთითებ ესა და და ეს შენ შეასრულე მეთქი; მე მხოლოდ აღვნიშნავ, თუ რა გაკეთდეს, ვინ შეასრულებს, „კატას ეჟვანს ვინ შეაბამს“, ეგ ჩემი საქმე არ არის—ვისაც რა ევალება, თვით მიხვდება—მითითება რა საჭიროა.

ყველას თუ არ მოეხსენება, ამიერიდან მაინც უწყებულ იყვნენ, რომ ქართველები თავის გულის ნადებს, თავის მისწრაფებას ზღაპრებში გამოხატავენ. ქართველს ქრისტეც, თვით ღმერთიც კი, ისეთი სწამს და მიაჩნია, რომელიც ხალხის გაჭირვებას, მის ჭირ-ვარამს თავის თვალით ნახავს და განიცდის. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, თუ ქართველი ზღაპრებში მეფეს ჩააცმევს „უბრალო კაბა-ჯუბასა“ და მათხოვრის ტანისამოსით დაატარებს „საწყალი ხალხის უბანსა“.

მეც ვუბრძანებ ამას, იმას, იმას ამას და ყველა იმას, ვისაც ხალხის ჭირისუფლობა უკისრია, ნუ ენდობა ხელქვეით ნაზირ-ვეზირთა მოხსენებას და ზღაპრულ მეფესავით ინკოგნიტოთ ჩამოიაროს თავის სახელისუფლო, გაეცნოს ხალხს და პირდაპირ მისგან (ხალხისაგან) გაიგოს რას სჩადიან და რას მოიმოქმედებენ მთავრობის მოხელენი, გაიგოს ხალხის გულის ტკივილი და სულის ზრახვა... მაგრამ:

„ოხო, ხოხო, საჯაოხო, ბეჟანა და ქაიხოსრო, რა ძნელია ჩემო კარგო, როცა გიხურს თავის კოსრო“!

მე ვიცი ჩემსავით რომ თავის კოსრო გაუხურდეს ფოსტა ტელეგრაფის უფროსს ბ ნ მგელაძეს (კინაღამ არ დავასახელე!!) და ჩამოიაროს თავის სახელისუფლო, ყველა „ზარიშნებს“, ტელეფონისტკა ტელეგრაფისტკას რესპუბლიკის ხარჯით გაამზითევდა, სალიკვიდაციოს და 10 წლის ჯამაგირს ავანსად მისცემდა—რესპუბლიკა მაინც მოგებული იქნებოდა...

ამის შემდეგ იგივე უფროსი იჯარით მისცემდა მოსავლელად ფოსტის მოხელეებს, ზოგიერთ ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებას. იმ ადგილას, სადაც დღეს 40-მდე „ჩინოვნიკი“, დარჩება 10 და

საქმეც ჩინებულად შესრულდება. მაგალითისთვის, თუ ბილეთის აღება მოვახერხე, თუ ვაგონში შევძვერი, თუ გზაზე ბოლშევიკ ყაჩაღებ კომუნისტებმა ვაგონი არ გადააბრუნეს, თუ ნატანებიდან ოზურგეთამდე მეეტლეებმა ტყავი შემარჩინეს, აგე ოზურგეთში ჩავირბენ. წინად, როცა ჩვენთან იყო ბოლშევიკ დენიკინთა მიერ აწ განსვენებული რუსეთი, აგრეთვე დამოკიდებულება გვქონდა უცხო სახელმწიფოებთან, მაშასადამე ახლანდელთან შედარებით ათასჯერ მეტი საქმე იყო, ხოლო ამავე დროს გურიაში მხოლოდ სამი თუ ოთხი ფოსტის განყოფილება არსებობდა (დღეს კი არის 3×4), აი ამ დროს ოზურგეთის ფოსტას ჰყავდა სულ 14 კაცი, დღეს კი 2×14 კაცია და 5 ბარიშნა. ლიხაურში წერილი კი მაინც გადაუცემელი რჩება თვეობით...

„საწყალი თომა, სცივა საწყალ თომას". „არ ვიცი რომელ მკლავზე ვიკბინო, ორივე ჩემია, ორივე მეტკინება" ჯანი გავარდეს ორივეზე ვიკბენ, იქნებ გამიზეზებულ წყლულზე ვინმემ მალამო დამადვა!... არც ის იქმნდა ურიგოს (ვისაც ეს ევალება) ძველ ხერხას მოიგონებდეს, აიფარებდეს წინსაფარს და რომელიმე ქარხანაში ზეინკლათ დადგებოდეს... გაიგებდა რომ, ვთქვათ 15 მუშას 3 საათის სამუშაო დღეში გამოყავს 210 ნიჩაფი, ხაზეინს ეცოტავა და იმავე მუშებს იგივე საქმე აკორდით (ნარდათ) მისცა, იმავე სამუშაო დროში იმავე მუშებმა 800 ზე ცოტა მეტი გააკეთეს... ეს იმისათვის, რომ მუშაობის დროს ბოლშევიკ-მენშევიკობანა არ უთამაშიათ... ერთი არითმეტიკული გამოცანაც: ქვალონის ტყეში (ზუგდიდის მაზრაშია) მოიჯარადრემ მუშები იქირავა, ტყის ბაქი გადაიხადა, შეშა სადგურში მიაზიდინა, ვაგონი იქირავა, შიგ ჩატვირთა, შეშა თფილისში მიიტანა, მუშებს გადმოატვირთვინა. საჟენის მეოთხედი გაჭირვებულმა მცივანა „თომამ" იყიდა 30 თუმნათ... მედროგეთა პროფესიონალურმა კავშირმა კი იმავე შეშის თფილისის ვაგზლიდან ვაგზლის ქუჩაზე მიტანაში გადაახდევინა მხოლოდ ოცდა ხუთი თუმანი და მასთან „მამობილათაც" გაუხდა—რა დაჯდა ღერი შეშა??. (სხვა მეორე კვირას).

მეზზიკე.

## სანდრო მაისურაძის

**სახელობის ბიბლიოთეკისათვის.**

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ს. მაისურაძის სახელობაზე არსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს: ევ. პეტ. ზეგეეკორმა 200 მან., ბ. ქიქოძემ 300 მან., დ. თოფურიძემ 100 მ., ტრამვაის მსახურთა კავშირმა 200 მან., ადელხანოვის ქარხნის მუშათა კავშირმა 200 მ., სანდრო კეცხოველის სახელობაზე არსებულ წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგეობამ 3,000 მ., გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბმა 2,000 მან., გორის სამაზრო ერობამ 2000 მ., და აფთიაქში მსახურთა პროფესიონალურმა კავშირმა 500 მან., სულ 8,500 მანეთი.

აღნიშნულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს გულითად მოძღვნილ წვლილისათვის.

სან. მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა.

## მიმართვა

**საქართველოს ექიმის თანაშემწეთ.**

ჩემ მოწოდებაზე, რომელიც იყო მოთავსებული ამ ერთი თვის წინეთ გაზ. „ერთობაში", რომ ამხანაგები გამოხმაურებოდენ საქართველოს ექიმის თანაშემწეთა ცენტრალურ გამგეობის განზრახვას ჟურ. „ექიმის თანაშემწის" განახლების შესახებ, რაც დადგენილი იყო და ერთხმათ მიღებული პირველ კონფერენციაზე—დღემდის პროვინციიდან ამხანაგებს სანუგეშო სიტყვაც კი არ მოუწერიათ, არამც თუ რაიმე დახმარება, როგორც მატერიალურათ, აგრეთვე მასალებით მოეწოდებინათ. ამხანაგებო! ცენტრალური გამგეობა ყოველგვარ საშუალებას და ენერგიას ხარჯავს, რომ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს მიაწოდოს სულიერი საზრდო და გააცნოს, თუ როგორ სდგას დღეს საკითხები ჩვენი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, როგორც მთავრობის წრეებში, აგრეთვე ექიმთა და სხ. შორის. მოგეხსენებათ, რომ მრავალმა არ იცის „ექიმის თანაშემწის" ისტორია, მისი წარმოშობა და განვითარება და ამიტომ სათანადოთ ვერ აფასებს მას. ჩვენთვის საჭიროა ჟურნალის გამოცემა, რათა გავაშუქოთ ყოველგვარი საკითხი, რათა გაეცნოს ფართოო საზოგადოება. გამგეობას თქვენდა დაუკითხავად ამის განხორციელება არ შეუძლიან და ამიტომ ერთხელ კიდევ მოგმართავთ, მოგვაწოდოთ დახმარება და ამით მოგვცეთ საშუალება ჟურნალის გამოცემის საქმის დაგვირგვინებისა.

ჟურ. „ექიმთა თანაშემწის" სარედაქციო კოლეგიის მონდობილობით **ივ. ხაათაშვილი.**

P. S. ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი ი. ხ.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 30 ოქტომბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება თფილისისა და ცენტრ. კომ. და დამფუძნებელ კრებიდან, მოხსენებები ადგილებიდან, პარტიის წევრთა რეგისტრაცია, ერთობის უბნის ქვე კოლექტივის ოქმის განხილვა, სომეხთა სექციის წარმომადგენლის მოხსენება, არსენალისა და მომხ. საზ. ალორძინების შესახებ, პროფ. კავშ. საბჭოს კუთვნილი შენობის პარტიულ კლუბათ აღება და საზოგადო კრების მოწვევა.

კრებამ მოისმინა ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან, დამფუძნებელ კრებიდან თ. ხ—ლის თფილისის კომიტეტიდან. ქვე-კოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებები მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე.

კოლექტივის მდივანი აწვდის კრებას სტატისტიკურ ცნობას რაიონის პარტიის წევრებისას. კრება ამ ცნობას ღებულობს მხედველობაში. კრებამ ერთობის უბნის ქვე-კოლექტივის 29 ოქტომბრის ოქმი მიიღო ცნობათ. სომეხთა სექციის წარმომადგენლის განცხადებით, ხსენებულ სექციაში მუშაობა ნელი ნაბიჯით მიდის და საჭიროა ენერგიული ზომების მიღება მუშაობის გამოსაცოცხლებლათ. კრება ადგენს, მიღებულ იქნას ყოველივე ზომები სომ. სექც. მუშაობის გასაძლიერებლათ, დაევალოს მცირე კოლექტივებს გაგზავნონ ხსენებულ სექციაში თითო სომხური ენის მცოდნე ამხ. წარმომადგენლათ. არსენალის შესახებ კრება ადგენს, მიექცეს ამ დაწესებულებას სათანადო ყურადღება და მიღებულ იქნას ენერგიული ზომები—უთანხმოების საბოლოოთ მოსასპობათ.

კრება ადგენს მომხ. საზ. „ალორძინების" რწმუნებულთა არჩევნებში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

კრებამ საჭიროთ სცნო საზოგადო კრების მოწვევა და გადასწყვიტა მოიწვიოს ის კვირას, 2 ნოემბერს, სადაც შინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე რამიშვილი.

კითხვა პროფ. კავშ. საბჭოს კუთვნილი შენობის პარტიულ კლუბათ იჯარით აღების შესახებ გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

თედ. ხუხუნაიშვილი.

---

**თფილისი.** 30 ოქტომბერს, ამხ. ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე მიმდინარე მომენტზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ლომთათიძემ. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა კრება, მოისმინა რა ამხ. ალ. ლომთათიძის მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ, სასტიკათ გმობს იმ საზიზღარ გამოსვლებს, რომელსაც აწარმოებენ ჩვენში სხვადასხვა ძალები, შავი რეაქციისა და საშინელი ანარქიის გასაბატონებლად და აღუთქვამს მთავრობას, რომ მას მხარს დაუჭერს ბნელ ძალებთან ბრძოლაში. კრება საჭიროთ სცნობს, მთავრობის მიერ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ჩვენი რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ".

## მუშათა შორის

**თფ. რკ. გზის ორთქლმავალ-მემანქანეთა ცხოვრებიდან.** რკინის გზის ორთქლმავალ-მემანქანეები არიან ის მშრომელი მუშები, რომელთაც აძევთ ყველაზე მძიმე უღელი და ეწევიან ცხოვრების საერთო ჰაპანს. არ არსებობს მათთვის არც დღე, არც ღამე, არც კარგი და არც ავი ამინდები და არც უქმეები, განუწყვეტლივ ატარებენ დროს შრომაში. ვისაც უნდა, რომ მემანქანეობა დაიმსახუროს, უნდა ჰქონდეს ტეხნიკური ან სახელოსნო სასწავლებელი გათავებული, რომ ადვილათ შეისწავლოს ყველა ვალდებულება. სწავლის შემდეგ საჭიროა მთავარ ქარხანაში და დეპოში მუშაობაში გავარჯიშება არა ნაკლებ ერთის წლისა. არიან ინჟენრებიც, როგორც სწავლა დამთავრებულები, აგრეთვე დაუმთავრებლებიც, ეს პირნი სამ თვეს მუშაობენ დეპოში. არიან ზეინკლობის ხელობა დამთავრებულები, რომელთაც შინაური სწავლა აქვთ მიღებული და არ ჩამორჩებიან მეორე ხარისხის მოწაფეს სასწავლებლისას. ყველა ესენი აბარებენ გამოცდას და იმსახურებენ სახელს მემანქანის თანაშემწის მესამე ხარისხისას. პირველათ ნიშნავენ სამარქაფო ორთქლმავალზე. როცა აქ დახელოვნდება მუშაობაში, შემდეგ გადაჰყავთ მატარებელზე. რამდენიმე წლის შემდეგ იმსახურებს მეორე ხარისხს და გადაჰყავთ სახალხო მატარებელზე (თუ ნიჭი გამოიჩინა მუშაობით). დღიდან მეორე ხარისხის მიღებისა, ეძლევა ნება ცხრა თვის შემდეგ გამოიცადოს მემანქანეთ, როგორც მუშაობით, აგრეთვე სწავლით, რის შემდეგაც ალარაფერი გამოცდა აღარ სჭირდება. მემანქანენი ვალდებულნი არიან, რომ იცოდნენ 1) ყველა ნაწილები ორთქლმავლისა და მათი დანიშნულება, 2) ყველა ნიშნები რაც კი არსებობს გზაზე, 3) გზაზე სად როგორი სიჩქარით უნდა იარონ.

მემანქანე თავის თანაშემწით ცხადდებიან სამსახურში წინა დროთი და ნიშნებით ან გამოძახებით, ორივენი შინჯავენ ერთად ორთქმავალს, რომ არ აკლდეს რაიმე ნაწილი. თანაშემწე ზე თავს სადაც საჭიროა, მემანქანე იწერს რაც საჭიროა: მაზუთს, ზეთს, ნავთს, იღებს წყალს და სხვა... მომზადებული გამოჰყავთ დეპოდან და უბამენ მატარებელს.—მატარებელი მიჰყავს მაშინ, როცა ყველა წესებს შეასრულებენ და მიიღებს სადგურის მორიგისაგან ნებართვას გზისას. მატარებლის სიარულის დროს აქცევს ყურადღებას: ორთქლმავლის მუშაობას, ქვაბში წყალს, რომელიც მზადდება ქვაბში და ამოძრავებს მანქანას, ნასოსის მუშაობას, რომელიც აგროვებს ჰაერს ჰაბრაკების მოსაჭერ საშუალებით. ადევნებს თვალყურს გზის ყველა ნიშნებს. თანაშემწე ასრულებს ყველა განკარგულებას მემანქანისას. გზაში სიარულის დროს ზოგჯერ ფუჭდება ორთქმავალი, მაშინვე ცდილობენ, რომ არ გააჩერონ და ისე შეაკეთონ და თუ მოითხოვს გაჩერებას, იმ შემთხვევაში აჩერებენ.

ძველ მთავრობის დროს მემანქანის თანაშემწე მე-III ხარისხის იღებდა თვეში 27 მ. 50 კაპ., მე-2 ხარ. 30 მან., 1 ხარ. 40 მან. მემანქანე მე 3 ხარის. 55 მან., მე 2—65 მან. და 1—78 მან. ამას თანავე ყოველ 1000 ვერ. გავლაზე თანაშემწეებს ეძლეოდათ 8 მანეთი და 50 კაპეიკი, მემანქანეს 17 მანეთი, ასე რომ სხვადასხვა პრემიებით თანაშემწე იღებდა ყოველ თვე 60—70 მან. მემანქანე 100—120 მანეთამდე. 1919 წ. 1 აგვისტოდან თანაშემწე მე 3 და მე 2—1000 მან. თვეში, 1 ხარის. 1245 მან. მემანქანეები კი, განურჩევლათ, 1500 მან. ამ ჯამაგირებიდან ერიცხებათ 25—40 მანეთამდე, ზოგჯერ 25—120 მანეთამდე მაგ. ენკენისთვის ჯამაგირი. ამ დარჩენილი ხელში მიღებული ფულით უხდებათ მათ ორ ოჯახში ცხოვრება, სახლში და თვითონ გზაში მგზავრობის დროს. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი მცირედი ჯამაგირი არ ეყოფათ, იყვნენ იმისთანა მემანქანენი, რომლებიც იძულებული იყვენ სახლის ნივთები და ბარგი გაეყიდათ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვენ. დღეს კი გასაყიდი აღარა აქვთ და რა ამისთვის ძალიან უკან იწევენ როგორც ფიზიკურათ, აგრეთვე გონებით, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სამსახურზე.

მემანქანე ვარ. სუხაშვილი.

## პროვინცია

**ახალციხე.** როგორც ქ. ახალციხეში, აგრეთვე მაზრაში ვერ არის საქმე სასურველათ დაყენებული. ქალაქი საშინელ ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით კი ძველი ნაწილი (რაბათი) ქუჩები ნაგვით სავსეა, დანგრეული ნიაღვრისაგან, სრულიად გაუნათებელი და სპეკულიაციაა გამეფებული.

ქალაქის მესვეურნი, დაშნაკცუტიუნური გამგეობა კი ყურსაც არ იბერტყავს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. დაშნაკელებს არც უნარი აქვთ მუნიციპალურ დარგების მართვა-გამგებლობისა და არც სურვილი მცხოვრებთა მდგომარეობაზე ზრუნვისა. ნაძირალები ხომ მოსვენებას არ აძლევენ მოქალაქეთ, დღე არ გავა რომ ფულის მოთხოვნის წერილი არ მოუვიდეთ მოქალაქეთ და მუქარა, უკეთუ არ მისცემენ. თუმცა ქალაქის მილიციამ ზომები მიიღო და შეიპყრო კიდეც წერილის ავტორნი, მაგრამ მაინც ძალიან სუსტობს. ჯამაგირიც ცოტა აქვთ და მასაც სამ-ოთხ თვეში ძლივს ღებულობენ. მაზრაშიც აიშვეს თავი ხალხის მტრებმა და ცარცვავენ ხალხს.

მათი შიშით ხომ ველარავის უმგზავრნია სადმე, შარა გზაზე თუ სხვაგან სცარცვავენ ყველას. დღე არ გავა რომ რამდენიმე ყაჩაღობა არ მოხდეს ბორჯომ-ახალციხე აბასთუმანსა და ახალქალაქ ახალ-ციხის გზებზე.

დამშეული ხალხი ჰყიდის თავის უკანასკნელ იმედს: ხარს, ძროხას, მიდის საქართველოს სხვა კუთხეებში საზრდოს შესაძენათ და აქ კი მათ ცარცვავენ. ამას წინათ ჯავახელები წამოსულიყვენ ჰირნახულის სასყიდლათ, რისთვისაც საქონელი გაეყიდათ, და გზაში ფულთან ერთად დაგლეჯილი ტანისამოსიც კი გაეხადნათ. გაცარცვეს აგრეთვე დუბაბორები ახალ-ქალაქის გზაზე, რომლებიც ჰირნახულის სასყიდლით მოდიოდენ წაერთმიათ 20 ათასი მან. და ცხენები.

საერთოდ ამ ბოლო ხანებში გახშირდა ყაჩაღობა ახალ-ციხის მაზრაში, მაზრას კი არ ჰყავს საკმარისი ძალა ცხენოსან მილიციონერებისა.

ყაჩაღების ასალაგმავად ერთის მხრით საჭიროა ყურადღება მიექცეს ადმინისტრაციის გაცხრილვა გაძლიერებას. მეორე მხრივ კი თვით მცხოვრებლები უნ და დაეხმარონ ადმინისტრაციას ყაჩაღებთან ბრძოლაში მათი გაცემით, თუ მათ სურთ, რომ მშვიდობიანათ და უშიშრათ იცხოვრონ, თორემ გვარდიას თავისი დანიშნულება აქვს, მუდამ ვერ მოიცლის მათ დასახმარებლათ.

მარიამაშვილი.

## ანგარიში

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ფრონტზე მებრძოლ სახალხო გვარდიელთა სასარგებლოთ მიიღო:

1) სოხუმის რესტორან კონდიტერთა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირიდან 460 მ.; 2) რაისა არონის ასულ ლევინოვისაგან 50 მ.; 3) იოსებ ხუციშვილისაგან გადმოცემული ვანო იმედაშვილის და იაკობ ხახვიაშვილის ხელით 500 მ.; 4) ზემო ავჭალის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოება „განათლების" საზოგადოებიდან გამართულ წარმოდგენის შემოსავალი 541 მ. ბონებით და ერთი მან. ვერცხლის ფული. შემომწირველთ მთავარი შტაბი მადლობას უცხადებს. შემოწირულებას მთავარი შტაბი იღებს 10—2 საათამდე. მისამართი: სასახლე, შუა კარები. შემომწირველთ მიეცემათ სათანადო ბარათები და მათი გვარები გამოცხადდება გაზეთებში.

## ცნობები

ას ოცდა ათ ხერსონის სათადარიგო პოლკში მეოთხე როტაში მე-3 „ვზვოდში" მსახურობდა ლადიკო გაბრიელის ძე გვარჯალაძე, ოზურგეთის მაზრის, სოფელ გომის მცხოვრებელი. სამი წელიწადია მისი არა ვიცით-რა, გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით, გვაცნობეთ ამ ადრესით: თფილისი, „ერთობის" რედაქცია

## განცხადებანი


### იყიდება

საუკეთესო სენთზე

ქალაქ ოზურგეთში ძმები ლომაძეებისა

### მაღაზია

რომელშიაც მოთავსებულია სავაჭრო ჯინჭარაძისა. მისამართი: თფილისი, მუხრანის ქ., გიორგი ლომაძესთან.

(2845—1—1)

---

### ქალაქის სანერგე ბაღში

ელიზავეტის და მუშტაიდის ქუჩის კუთხე.

იყიდება იაფ ფასებში

აყვავებული ხრიზანტემები, კიპაროსები, ტუიები, კომპაქტიური და უბრალოები, და სხვა მრავალნაირი დეკორატიული მცენარეები ბაღჩებისთვის.

(2850—2—1)

---

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 ე სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

---

ბორჯომში მოგზაურობის დროს 1-ლ ოქტომბერს დავკარგე სამუდამო პასპორტი მოცემული 1910 წ. ქუთაისის მაზრის გომის საზოგადოების კანცელარიიდან იუსტინე მალაქიას ძე ალფაიძის სახელზე, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. (2853—1—1)

---

### რვეულები

იყიდება ბითუმათ, საყდო ბრუკისა. კრუზენშტეინის ქ. № 3.

(2829—3—2)

---

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ხემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მუხრანელი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიაჯვი და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსუვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ექიმი **არუთინოვი.**

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულის (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების სად. 6—7 საათ. „914" „606" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

---

ოზურგეთში

ექიმი **ს. ვ. აბაშიძე**

მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდიდ", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეშხაპუნებით.

---

ექიმი **იმ. ბოკერია**

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საააკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, მიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

---

კბილის ექიმი

**მ. მ. ბიბაური-მხაძიახი**

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

---

ექიმი **დ. მ. ჯაფარიძე**

ჰკურნობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

---

ექიმი **ა. ლიზინზტეინი**

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჰების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

---

დოქტორი **რომელიუს ზაქარია.**

სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყობთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერეენაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

---

ექიმი **ნ. დ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი **მ. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩ. გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

ექიმი **ბიხარიონ პაპავა**

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

---

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მოჩხაძე**

ქირურგიული, შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.— საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის პრ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—41

---

ექიმი **დ. მ. ჯავახიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662)

---

დოქტორი **ი. მ. ბაშმაშვილი.**

სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტირიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 1 ტელეფონი 16—82.

---

ექიმი **მ. ა. შაურაძე**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ლერმონტოვის ქუჩა № 33.

---

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

დოქტორი **მ. ზოლოტარევი.**

თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32

---

ექიმი ქალი **რ. ბ. შოშიტა-ხაზაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. **ხიფილიხის წამლობა** (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—

---

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

---

ექიმი **ა. მ. ძუთათელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვ. სა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

---

ექიმი **ა. დ. ძაძამია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4— ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ" პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

---

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ შაბათს, 4 ნოემბერს, საღ. 5 ნახ. საათზე თფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ამავე კავშირის

### წევრთა საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება კავშირის მოქმედების შესახებ 1918 წელში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) 1918 წლის ანგარიშის დამტკიცება, 4) 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა, 5) სამედიცინო დახმარება, 6) შემნახველ გამსესხებელ ფონდის დაარსება, 7) სამუშაო ქირის ტარიფის შედგენა თანამდებობისა და კატეგორიის მიხედვით, თანახმად სატარიფო პალატის წინადადებისა, 8) გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევა და 9) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა. (2866—2—1)

---

თფილისის რეალურ სასწავლებლის მშობელთა წრის საბჭო ამით აცნობებს რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებს, რომ კვირას ნოემბერს დილის 11 საათზე რეალურ სასწავლებლის შენობაში დანიშნულია

### მშობელთა საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) წრის მოღვაწეობის ანგარიში, 2) საბჭოს წევრების და პედაგოგიურ საბჭოში გასაგზავნ წარმომადგენლების არჩევა. (2815—1—

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **იგოლი მეშის**

ახალი პოემა

### „წამების ჯვარზე"

(უფ —4—2)

---

### მოქალაქენო!

ისარგებლეთ ბედნიერი შემთხვევით: დღესვე შეიძინეთ ლატარიის ოცდა-ხუთ მანეთიანი ბილეთი, რომ 2 ნოემბერს შეძლება მოგეცეთ— **ასი ათას მანეთის მოგებისა**

შაბათს, ლატარიის გათამაშების წინა დღეს, 1 ნოემბერს, მთელ ქალაქს მოედება ორასი სტუდენტი, ვისთანაც შეგეძლებათ ბილეთის შეძენა.

პირველი მოგება **100,000** მანეთია

მეორე მოგება **50,000** მანეთი, და სხვ.

სულ მოგებისათვის გადადებულია **ნახევარი მილიონი მანეთი**

(6. 3—3)

---

### „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"

რომელიც იღებს ყოველ გვარ საკერავს და ასწავლის ჭრა კერვას, ქარგვას, საფშელების შეკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში, ძღებს მოწაფეების მიღებას. მისამართი: ვერის დაღმართი № 3, ბინა 9,

(2783—8—